F262 ნ 13029

საქართველო

წლიწადი მეხუთე
სამშაბათი, 14 ღვინობისთვე 1919 წ. № 221
ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73.

გულდამწვარნი მშობლები: დედა ქ-ქინო თაცას ასული, მამა სერაპიონი ჩარბაია და ოლია, ძმები ვოლოდია და ალიოშა, ბიცოლა ანა გუტიას ასული, ბიძები დიანოზი, ვასილი, ბიძაშვილები ლუსია, კიკა და ვარლამი კვირკველია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 11 ოქტომბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი პატარა

ლ ო ლ ა

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე საკუთარ სახლში ქუთაისის შესახვევი № 1 დაკრძალვა მოხდება დღეს, 14 ღვინობისთვეს კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

2612 1—1

✳ სახელმწიფო თეატრი ✳

დღეს, 14 ღვინობისთვეს, ოპერა ზ. ფალიაშვილისა

აბესალომ და ეთერი

ს ა ხ ლ ი

იყიდება ახლად აშენებული სახლი ცხრა თვალი სამზარეულოთი და დუქნით. წლიური შემოსავალი ოცდაოთხი ათასი მანეთი. ფასი 180,000 მანეთი. მყიდველს დაეთმობა ორი ოთახი სამზარეულოთი, რომელიც იძლევა თვიურად ხუთას მანეთს. პირობების გაგება შეიძლება მოსკოვის ქუჩაზე, № 17, დილ. 8—10 საათ., საღამოს 5—8 საათამდე. 2608 1—1

ვანო ბერძნიშვილის ფეხსაცმლის სახელოსნომ მუშაობა განაახლა.

ვიღებ ყოველნაირ შეკვეთას სრულის პასუხისმგებლობით

წყნეთის ქუჩა, № 28. **ვანო ბერძნიშვილი.**

200 4—3

1 ხარისხ. კაფე-პარიზი 1 ხარისხ.

დამფუძნ. კრემის ქ. (ყოფ. სასახლის ქ.) ქართულ კლუბის ქვეშ.

ყოველ დღე: **საუზმე, სადილები, ვახშმები.**

სურსათი უაღრეს ღირსებისაა. კეთება მხოლოდ კარაქზე.

სადილები პურით 2 თავი 15 მან.
„ „ 3 „ 20 „

ყოველ დღე მზადდება **აზიზი საჭმელები** საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული. საგანგებოდ გამოწვეულია იმერეთიდან ცნობილი მზარეული. მოწყობილია ცალკე კაბინეტები წვეულებისათვის

პროცენტები მსახურთა სასარგებლოდ არა ხდებათ სტუმრებს.

რესტორანი ღამის 2 საათამდეა ღია.

პატივისცემით **ვარ. გვათუა.**

ნებართვანი საზღვარ-გარედ

იმ პირთ რომელთაც სურთ საზღვარ გარეთ გასვლის ნებართვა აიღონ ბათომის მიმართულებით უნდა **წერილობით** მიმართოს ბრიტანეთის შტაბს ბათომში.

Intelligence offcer B. H. Q. Batum.

საჭიროა წარდგენა შემდეგი ცნობების: სახელის გვარის, ეროვნების და აღნიშვნა სად მიემგზავრება, დარჩება საზღვარ-გარეთ თუ ისევ დაბრუნდება უკან.

უნდა წარდგენილ იქმნეს 3 ფოტოგრაფიული სურათი.

პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა და მის მიღების შემდეგ ნებართვის მიღება შეიძლება ბათომში.

— საჭირო არაა პირადათ მიმართვა ბათომში ან კიდევ მიმართვა რომელიმე ბრიტანიის დაწესებულებას თბილისში. 204 4—2

მოითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფად ჯდება, იწვება ყოველგვარ ქვემო საბერვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის **საგანგებოდ დამზადებული** ნახშირი და **დიდ-ძალი კირი,** საუკეთესო ხარისხის და ხე მისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათომში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, თბილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ-წვრილად. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: თბილისში, გრიბოედოვის ქ. № 6, ტელ № 11-45.

1002 15—14 **ტყიბულის ქვა-ნახშირის გამსაღებელი მთავარი სააგენტო.**

ტექნო-ქიმიური ლაბორატორია

„ა ლ ფ ა“

ამით აუწყებს თავის კლიენტებს, რომ ფეხსაცმელების „მაზის“ წარმოების უფლებები გადაეცა კოოპერატივ „დახმარებას“ სთხოვს მაზის მსურველთ მაზის შესაძენად ამიერიდან მიმართონ კოოპერატივ „დახმარებას“ თავისუფლების მოედანზე თამამშევის სახლში.

ობა „ალფა“. 207 10—1

ხუთშაბათს, 16 ღვინობისთვეს, საღამოს 6 საათზე სამეურნეო ურთიერთობის საზოგადოების შენობაში („ქართულ კლუბის“ პირდაპირ) შედგება ქ. თბილისის მე 2, 3 და მე 4 სამილიციო უბნებში მცხოვრებ

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა საზოგადო კრება

დღიური წესრიგია:

1) **სპ. კედიას** მოხსენება: **„საქართველოს პოლიტიკური პოლიტიკა“.**
2) **ალ. ასათიანის** მოხსენება: **„საქართველოს მთავრობის ეკონომიური მდგომარეობა“.** 3—უ—1

ქ. ჭიათურის სრულ უფლებიან გიმნაზიაში

საჭიროა მათემატიკის და ფიზიკის მასწავლებელი

ჯამაგირი ექნება 18 გაკვეთილისა, კლასის დამრიგებლობა და პედაგოგიური საბჭოს მდივნობა.

მისამართი: ქ. ჭიათურა გიმნაზიის დირექტორს.

1—2611—1

კინემო მინიონი

ბარიათინის ქ. კუთხე

დღეს **ჩვენს ეკრანზე — მხატვრულ დადგმათა შედევრი**

ეკლიან დიდების გზა

დრამა 5 აქტად.

ვერა ხოლოდნაიას

მონაწილეობით.

ექიმ ს. ჩიჯავაძის

ბაქტერიოლოგიური, სერო-დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული

ლაბორატორია

იღებს გამოსაკვლევად: **სისხლს** (Wassermann'-ის, Weinberg'-ის, Widal'-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Obermeyr'-ის სპიროხეტები და სხვა). **შარდს, განავალს, ნახველს რძეს, ლორწს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს კუჭის სითხეს და სხვას. აუტოგენიურ ამზადებს ვაქცინას.**

26 მაისის (ოლღას) ქუჩა, გაზაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათ. 15—26988—7

სანიტარულ გადასახადის შედეგები

როდესაც თბილისის ქალაქის გამგეობა ქალაქისთვის 60 მილიონიან გადასახადს აწესებდა, სოციალ-დემოკრატიული მოღვაწეები, ალბად დიდს სულიერ კმაყოფილებას განიცდიდნენ:

მათს ხელში სრულიად დაცლილი ქალაქის კასსა ერთბაშად უნდა ავსილიყო. 60 მილიონით ორი კვირის განმავლობაში! ასეთი იყო ის საოცარი კანონი, რომელიც სოციალისტურ ფინანსისტებმა ნაჩქარევად მიაღებინეს დამფუძნებელ კრებას. 24 საათის განმავლობაში, დეკრეტის სახით დამტკიცდა ეს უდიდესი წყარო ქალაქის შემოსავლისა.

დეკრეტები და თვით კანონები მმართველ პარტიას ისეთის ელვისებურ სისწრაფით გაჰყავს დამფუძნებელს კრებაში, რომ მოწინააღმდეგე პარტიები ხშირად მოკლებული არიან საშუალებას, რომ დამფუძნებელს კრებაში ესა თუ ის [illegible] კანონი ღირსეულად დააფასონ.

სანიტარული გადასახადი როგორს ნაყოფს გამოიღებდა, ეს ყოველს თვალ ახელილ მოქალაქეს უნდა სცოდნოდა. 60 მილიონის გაწერა ერთი ქალაქის ვაჭარ-მრეწველებზე ისე, რომ ეს საქონელის ფასს არ დასჩენოდა! თურმე ამის იმედი ჰქონდათ ჩვენს სოციალისტ ფინანსისტებს.

ზოგიერთს სავაჭროს იმოდენა გადასახადი დაედვა სანიტარული ბეგარის სახით, რომ ამ გადასახადმა შთანთქა სავაჭროს მთელი თავისუფალი სატრიალებელი თანხები. ქალაქის მამებს კი იმედი ჰქონდათ, რომ ასეთი ბეგარა ქალაქში ცხოვრებას არ გააძვირებდა.

რათ ჰფიქრობდენ ასე ქალაქის ეხლანდელი მეთაურები, ეს მათის საიდუმლოებას შეადგენს. მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო. ეკონომიურ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს და ეს კანონები უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვენი მმართველი პარტიის სურვილები.

ცხოვრება ქალაქში ერთბაშად 30 პროც. გაძვირდა. გაძვირება დაეტყო ყოველ საგანს, ყოველს საქონელს.

სანიტარული გადასახადი დააწვა ქალაქის მცხოვრებთა მთელ მასსას და არა მარტო იმ „ბურჟუებს“ მარტო, რომელნიც ჰყოლიათ თურმე ნიშანში ამოღებული დეკრეტის ავტორებს.

ასეთი შედეგებით ჩვენი მმართველი პარტია, როგორც სჩანს, არ დარჩა კმაყოფილი; ის საქმის გამოსწორებას ცდილობს; მაგრამ იმ გზით, რომლითაც საქმე არ გამოკეთდება, არამედ შეიძლება კიდევ გაუარესდეს.

შეიმუშავეს დეკრეტი, რომ ქალაქის გამგეობას მიენიჭოს უფლება ადმინისტრატიული დასჯისა, უკეთუ ქალაქის გამგეობა დარწმუნდება, რომ ესა თუ ის მწარმოებელი საქონლის ფასს უმატებს იმ მიზნით, რომ სანიტარული გადასახადი საქონელზე გადაიტანოს. მაშასადამე, უკეთუ დარწმუნდნენ რომ საქონელს ფასი მოუმატეს და ეს მომატება გამოწვეული იყო სანიტარული გადასახადით, ქალაქის მამები ასეთს პირს ციხეში ჩაამწყვდევენ.

როგორ გამოარკვევენ ქალაქის გამგეობის წევრნი თუ რა მიზეზით აუმატეს საქონელს, სანიტარული გადასახადების გამო, თუ სხვა მიზეზით— ამის შესახებ დეკრეტის ავტორები ალბად არაფერს ჰფიქრობენ.

მათ ჰგონიათ რომ ქალაქის მამებს ასეთი გულთმისნობა არ გაუჭირდებათ. ამ ახალი დეკრეტის დაწვრილებით განხილვა ზედმეტია. მისი ყოვლად მიუღებლობა ყველასთვის ცხადი უნდა იყოს. ყოველს შემთხვევაში მისი ავტორები ამას მალე დაინახავენ, ისე, როგორც მათ მალე იხილეს სანიტარული კანონის საუცხოვო შედეგები.

ამ ახალი დეკრეტებით, რასაკვირველია, საქონელზე ფასებს ვერ დასწევენ და ცხოვრებას ვერ გააიაფებენ ისინი ჰქმნიან მხოლოდ ახალს საფუძველს ადმინისტრაციის დაბალ და მაღალ მოხელეთა თვითნებობისა და ბოროტ-მოქმედებისათვის.

ყოველი მილიციელი მსაჯული ხდება! მან უნდა გამოარკვიოს თუ რატომ ჰყიდის საქონელს ვაჭარი ამ ფასში და არა უფრო იაფად.

როგორც სპეკულიაციის კანონმა გაიაფა ცხოვრება და მოსპო სპეკულიაცია, უარესი თუ არა, ისეთივე იქნება ახალი დეკრეტების შედეგი.

ფასების დაწევის ნაცვლად ეკონომიური კანონების აუცილებლობით მათ, ფასების აწევა უნდა გამოიწვიონ. ასეთს შედეგებს იძლევა ყოველთვის უხეირო ჩარევა ეკონომიურს ცხოვრების სფეროში.

საბრალო ხალხმა კი თავის გაჭირვებით და დალარიბებით უნდა გამოისყიდოს თავის დღევანდელ მეთაურთა უვიცობა და უგნურება.

აღმაშფოთებელი განცხადება

გაზეთ „სახალხო საქმის“ ღვინობისთვის №-ში მოთავსებული იყო შემდეგი ცნობა:

ლიუცერნის უკანასკნელ სოციალისტურ კონგრესზე მხურვალე კამათი ყოფილა ამიერ-კავკასიის საქმეების გამო, საბაბად გამხდარა საქართველოს და სომხეთის მიმართვა თხოვნით, რომ რამდენიმე ხანს არ გაეყვანათ ინგლისური ჯარი ამიერ-კავკასიიდან. ამ აზრით მოკავშირეთა საზღვარ გარეთ წარმომადგენლებს მეიმართათ „ლიბერალების პარტიისთვი“-ს, რომლის მოთხოვნილებითაც მიჰყავდათ ინგლისური ჯარები.

ლიუცერნის კონგრესმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღოთ მიქ. ვარანდიანს და ს. აკიბიანს, ვარანდიანის მხურვალე სიტყვის შემდეგ, მიიღო ერთი ფორმულა, რომელიც მოითხოვს, რომ ინგლისური ჯარების ამიერ-კავკასიიდან გაყვანა დროებით გადაიდოს. **ამ ფორმულის წინააღმდეგ სიტყვა წარმოუთქვამს ქართველ მენშევიკების წარმომადგენელს წერეთელს.**

ამ ცნობამ სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში.

ჩვენ არა ერთხელ გაგვიცხადებია, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს ევროპაში ბ-ნი წერეთელი, სრულებით ეწინააღმდეგება იმ მანდატს, რომელიც მიცემული აქვს მას დამფუძნებელი კრებისაგან.

ბ-ნი წერეთელი გაგზავნილ იქმნა პარიზში, როგორც საქართველოს წარმომადგენელი ვერსალის კონფერენციაზედ და ეს დავალება თავის თავად გულისხმობდა, რომ მას კავშირი უნდა დაეჭირა საზაო კონგრესის ხელმძღვანელ წრეებთან.

ბ-ნ წერეთელმა გვერდი აუხვია თავის პირდაპირ მოვალეობას და როგორც სოც. დემ. წარმომადგენელმა დაიწყო სეირნობა სოციალისტების ისეთს ორგანოებში, რომელნიც აშკარად წინააღმდეგნი არიან, როგორც ვერსალის, ისე ანტანტის დღევანდელი პოლიტიკის.

ევროპის გაზეთები მხოლოდ იმას გვაცნობენ, თუ საქართველოს დელეგატები გუშინ ამსტერდამში, დღეს ლიუტერნში, თუ ხვალ რომელიმე სოციალისტების სადილზედ რა სიტყვა წარმოსთქვეს ან რომელ სოციალისტურ კომიტეტში იქნენ არჩეულნი.

არც ერთი ცნობა მათი ურთი ერთობის შესახებ იმ წრეებთან, რომელნიც დღეს სწყვეტენ ქვეყნიერების ბედს, და ვისზედაც დამოკიდებულია საქართველოს ბედი.

და ეს ბუნებრივიც არის:

ესეთმა შეუწყნარებელმა ორმაგიაბამ პოლიტიკაში აბა რა თანაგრძნობა უნდა მოიპოვოს იმ ხალხში, ვინც პირდაპირ წინააღმდეგობაშია იმ სოციალისტებთან, რომელთანაც მხოლოდ აქვთ კავშირი საქართველოს დელეგატებს;

პირ-იქით: მათი პიროვნებანი ჰკარგავენ არამც თუ ავტორიტეტს, არამედ შესაძლოა ყოველივე ნდობასაც.

ამ ჟამად გამოქვეყნებული ცნობა, თუ იგი მართალია, უკვე ყოველივე წრეს გადასული თავხედობაა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საქართველოს მთავრობის მხრივ.

საქართველოს მთავრობის და პოლიტიკური პარტიების მუშაობა უკანასკნელ დროს მიმართული იყო მისკენ, რომ დაგვერწმუნებია ანტანტის და კერძოთ ბრიტანეთის ხელ-მძღვანელი წრეები, მათი ჯარების ამიერ-კავკასიაში დარჩენის საჭიროებაში და ამავე დროს ჩვენი დელეგატი მისი ერის სურვილების და წადილის საწინააღმდეგოთ მუშაობს!

ეს ცნობა დაბეჭდილი იყო გაზეთ „სახალხო საქმის“ 7 ღვინობისთვის №-ში და ჩვენ ველოდით, რომ საქართველოს მთავრობა ავტორიტეტულად უარყოფდა მის სიმართლეს.

დღეს, 13 ღვინობისთვეს იგი კიდევ უარყოფილი არ არის და ჩვენ მოვითხოვთ ბ-ნ საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტებას!

პ რ ე ს ს ა

სომხების „სირენები“

„ერთობა“-ში დაწერილ წერილს, რომ საჭიროა სომხებს ლორი დაეთმოსთ გამოეხმაურა სომხური „არაჩი“, თუ ამდენხანს ეს გაზეთი, რომელიც ამართლებდა თავის სახელს და მართლა „საყვირს“ სცემდა ცილისწამების და გინებისას—ეხლა ისე ტკბილად აღულუნებულა, როგორც სირენა, რომ უფრო მოალბოს მენშევიკების გულები, გაზეთი ანიშნავს, რომ ბოლოს მენშევიკები ჩახვდენ ჭკუაში და გაიგეს სომხებს უნდა დაუთმონ საზღვრებიო და შემდეგ ცბიერებით მოკაზმულ წერილს სწერს:

„საქართველოს ხელმძღვანელ წრეებს, რომელნიც აქამდე ისე აგრესიული და ცხარენი იყვნენ თავიანთ პოლიტიკაში სომხეთის მიმართ, თითქოს დაუწყიათ თავიანთ შეცდომის გამოსწორება. ასეთ ნიშნებს ვხედავთ ქართულ პრესაში და საზოგადოებრივი აზროვნებაში.

ქართული პოლიტიკური აზრი საკმაო ძლიერ ევოლუციას დაექვემდებარა და თითქოს კიდეც ჰგრძნობს თუ რამდენად შემცდარ პოლიტიკას აწარმოებდა არათუ მარტო სომხურ, არამედ სხვა ამიერ-კავკასიის დემოკრატიების მიმართ. საქართველოს მფლობელობის გასავრცელად სოჭიდან დაწყებული მანამ ჩილდური და ოლთისია.

ქართველი მოღვაწენი ანგარიშში არ იღებდნენ ამ სივრცეზე მცხოვრებ ხალხთა მთელ რიგის ნებას, არც აგრეთვე მეზობელ სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესებს და უფლებებს. ქართველი მესვეურები დემოკრატიულ ლოზუნგებით მორთულნი, აწარმოებდნენ ნამდვილ აგრესიულ პოლიტიკას. და ბუნებრივია, რომ ყოველ მხრით ხვდებოდნენ უკმაყოფილებას, პროტესტს და წინააღმდეგობას.

დავიწყებული თავიანთი საყვარელი იდეები დემოკრატიზმის და ერების უფლებების თანასწორობის მაგიერ ჟორდანიამ და მისმა ამხანაგებმა ამიერ-კავკასიის სინამდვილეში ისეთი იდეები ჩანერგეს ისეთი პოლიტიკურ მოღვაწეობის ფორმები, რომელთა წინააღმდეგ ყველაზე ბევრი წარსულში თითონვე უბრძოლიათ და რომელნიც ყველაზე უფრო გამოჰხატავს იმპერიალიზმსა. ცნობილია, თუ სადამდე მივიდა ეს პოლიტიკა: ქართველი სოციალისტები და თათარი მემამულეები გადაეხვიან ერთმანეთს და პოლიტიკურ ხელშეკრულება დასდეს.

ამაზე შორს წასვლა არ შეიძლება. აი პირველი და ყველაზე სამარცხვინო შედეგი, რომელიც მისცა საქართველოს იმპერიალისტურ პოლიტიკურ კურსმა, იმავე დროს ამ კურსმა გააღრმავა ხელოვნური უფსკრული ქართველ და სომეხ დემოკრატიების შუა, რადგან სომეხი დემოკრატია, რამდენადაც დუნედ არ იყოს მოწყობილი, არც ერთ შემთხვევაში თავის ხელს არ მიაწოდებს იმ კაცებს, რომელთა სინდისი დამძიმებულია ათი ათას უდანაშაულო დახოცილების სისხლით.

სომეხი დემოკრატია და მისი მმართველები ჯერ იმდენად არ წასულან

უკანასკნელი ცნობები

მიტავაში რუსეთის თეთრგვარდიელთა ახალი მთავრობა შესდგა.

რუსეთის თეთრგვარდიელები რიგას უტევენ.

ყუბანის რადამ დენიკინის დიქტატურის აღიარებაზე უარი განაცხადა.

ავსტრიის მთავრობა იშლება.

დენიკინელებთა და ყუბანის ყაზახთა შორის უთანხმოება ძლიერდება.

ცარიცინის მაზრის მშრომელი გლეხობა დენიკინის წინააღმდეგ აღსდგა.

ოსმალთა მოძრაობა მცირე აზიაში ძლიერდება.

ბალტიის პროვინციებში მდგომარეობა რთულდება.

პუანკარე ინგლისში გაემგზავრა.

ბერლინში ქარხნებში გაფიცვა დაიწყო.

ფონ-დერპოლტმა თავისი თავი ბერლინის მთავრობის მოწინააღმდეგედ გამოაცხადა.

წინ დიპლომატიაში რომ დაიწყონ კოცნა მუხანათებთან და მტერებთან.

ჩვენ გვგონია, რომ საქართველოს სმართველებს თვითონვე შეუმჩნევიათ მრუდე გზა რომელზეც დგანან თითონ. უკვე სჩანან ნიშნები, რომ ქართველ წარმომადგენელთა სულში რაღაც გადატეხა მოხდა საიდანაც იწყება გაგება, რომ სასაზღვრო ანგარიშებით და აგრესიულ მისწრაფებით არ უნდა გამაგრდეს და გაგრძელდეს თავისუფალ საქართველოს არსება.

სომხეთის ამ ან იმ ნაწილის, ან ერთ ნაჭერ მიწის წართმევით, ეკონომიურ ომის გამოცხადებით არ შეიძლება სომეხ დემოკრატიის თანაგრძნობის მოგება და ორი ქვეყნის შუა კეთილ-მეზობლურ ურთიერთობის შექმნა.

აზროვნების ამნაირი ცვლილება თავისთავად უკვე ნიშანია იმისა, რომ შორს არ არის ის დღე, როცა ორი ერთ ბედ-იღბალის ხალხის გულზე დამძიმებული კოშმარი მოშორდება და სრულებით დავიწყებას მიეცემა ის ამბები, რომელიც იმდენა უბედურება მოუტანია ორივე მხრისთვისაც.

საქართველოს დემოკრატიის აზროვნებაში მომხდარი ცვლილება ცხადია. მაგრამ ძნელია გამორკვევა იმისი, რომელი მხარე უფრო ძლავრია — ძველი, იმპერიალისტური აზროვნება, თუ სოლიდარობის და მშვიდობიან ერთად ცხოვრების იდეა? პირველ შემთხვევაში სომეხ-ქართველთ შეტაკებას ბოლო არ ექნება, მეორე შემთხვევაში სომეხი და ქართველი დემოკრატია დადგება იმ ერთ გზაზე, რომელიც ორივე მხარე მიჰყავს კეთილცხოვრებისაკენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, რასაკვირველია, ბოლოს და ბოლოს მეორე ნამდვილი დემოკრატიული მიმდინარეობა გაიმარჯვებს. ჩვენთვის ეჭვს გარეშეა, რომ განმტკიცდება მეგობრობა სომეხ და ქართველ ხალხის შუა. ჩვენ ხოლოდ მოვისურნებთ, რომ ეს დღე მოსულიყოს, რადგან სანამ იმპერიალისტური ქარები არ გამოსულან საქართველოს ხელმძღვანელების თავებიდან, მას არ ექნება არც შინაგან და არც გარეგან მშვიდობიანობა, არც სოლიდარობა იქნება სომეხ და ქართველ დემოკრატიების შუა, რომლით ხოლოდ უზრუნველყოფილი იქნებოდა ორი ხალხის ურთიერთი ინტერესი და მშვიდობიან განვითარების შეძლება“.

რათქმა უნდა მენშევიკების ჩვილი გული ამ წერილის შემდეგ უფრო მოლბება და არაფერს დაზოგავს სომხების გულის მოსაგებათ.

მაგრამ „არაჩმა“ უნდა იცოდეს, რომ საქართველო მაინც სხვა არის, ვინემ სოციალ-დემოკრატია — და თუ მენშევიკები წამოეგენ მათ ანკესზე, საქართველო, ის საქართველო, რომელმაც ბორჩალოში გაანადგურა სომხების შემოსეული ბრბოები, ასე იოლათ არავის დაუთმობს თავის საზღვრებს.

დეკრეტის პროექტი

ერთდროული სანიტარული და პირდაპირი სახელმწიფო გადასახადების მყიდველზე გადატანის აკრძალვისა

ხსენებული დეკრეტი წარმოდგენილია დამფუძნებელ კრებაში განსახილველად.

დეკრეტის პირველი მუხლის ძალით აკრძალულია „სანიტარული და პირდაპირი სახელმწიფო გადასახადების მყიდველზე გადატანა, სურსათზე და საქონელზე, აგრეთვე სხვა და სხვა საგნებზე დამზადებაზე, შეკეთებაზე, დამუშავებაზე და სამსახურზე ფასების გადიდების სახით“.

ეს მუხლი დეკრეტისა სრულიად ეწინააღმდეგება ეკონომიურ ბუნებას შრომისას, ვაჭრობისას და მრეწველობისას.

თვით ბუნება პირდაპირი გადასახადებისა ისეთია, რომ წინდაწინვე უნდა იყოს აღნიშნული როგორც ნორმა (პროცენტებით) გადასახადისა, აგრეთვე ხარჯდასადები საგანი, რომელიც ეკუთვნის ხარჯის გადამხდელს, მაგ. კაპიტალი, შემოსავალი, სახლი, ქარხანა, სავაჭრო. დაკანონებულ გადასახადის ნორმით ხარჯ-გამწერი ხელმძღვანელობს ხარჯის დადების დროს ხარჯდასადებ საგნის ღირებულებით, რაოდენობით.

პირდაპირი გადასახადი ამ შემთხვევაში შეფარდებული იქნება ხარჯდასადების ღირებულებასთან, ხარჯის გადახდის უნართან.

პირდაპირ გადასახადებს ამით აქვს უპირატესობა, ალმაცერ გადასახადებთან შედარებით. პირდაპირი გადასახადი შეიძლება დაეცის იმას, ვისაც აქ უნარი, შეძლება გადახდისა. გადახდის გამნაწილებელმა უეჭველად უნდა იცოდეს ხარჯ-დასადების ავლადიდება. ალმაცერი გადასახადი კი ბრმა არის. ეს ხარჯი ედება საქონლის მომხმარებელს, სულ ერთია, შეძლებულია ის თუ ღარიბი. რაოდენობა ამ ხარჯისა ყოველ საგანზე დადებულია თეორიულის მოსაზრებით.

პირდაპირი გადასახადის ჯამი შეიძლება მთავრობამ წინადვე აღნიშნოს ამა თუ იმ რაიონისათვის და მიენდოს რაიონის ხარჯამკრებ დაწესებულებას განაწილება ზემოაღნიშნული პრინციპით. შეიძლება გადასახადის დადება წინადვე აღნიშნული განსაზღვრული ნორმით, ზევით აღნიშნულ წესით. პირველ შემთხვევაში ბიუჯეტს აქვს გამორკვეული რაოდენობა ხარჯისა, ეს ბიუჯეტისათვის რჩება უცვლელად, მეორე შემთხვევაში აქვს დაახლოვებითი რაოდენობა ხარჯისა, რომელიც თეორიულად მოსალოდნელია თანდათან მეტი იყოს, ვინაიდამ წარმოსადგენია უძრავი საკუთრების ფასის ზრდა თანხის გადიდება, შემოსავლის ზრდა.

ყოველ შემთხვევაში აუცილებელი ეკონომიური კანონია — პირდაპირი ხარჯი დაიდოს გამორკვეულ საგანს, გამორკვეული ნორმით.

დეკრეტის პირველ მუხლში მოხსენებულია ერთდროული სანიტარული გადასახადი, რომლის შემოღების უფლება დამფუძნებელი კრების მიერ მიეცა ერობათ და ქალაქებს მდგომარე წლის 18 ივლისს

დეკრეტის მეოთხე მუხლით ნორმა დროებითი გადასახადისა განსაზღვრულია. დაწვრილებით აღნიშნულია პროც. ჯამაგირის რაოდენობის მიხედვით იმ პირთათვის, ვინც ჯამაგირს იღებენ. აქ სავსებით დაცულია ზემოთ აღნიშნული კანონი პირდაპირი გადასახადების ნორმის აღნიშვნისა. ხოლო ამავე დეკრეტში ეს კანონი დარღვეულია, ვინაიდამ არ არის აღნიშნული ნორმა გადასახადისა თუ პროცენტებით არა საერთოთ მაინც. საერთო ნორმის აღნიშვნა და დამტკიცება შეეძლო მხოლოდ დამფუძნებელ კრებას ყოველი ქალაქისათვის ან ერობისათვის ცალკ ცალკე თანახმად იმათი შუამდგომლობისა, რომელიც ყოველ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო დამფუძნებული სტატისტიკაზე, ანგარიშზე, გადასახადის ამა თუ იმ რაოდენობაზე. ეს იქნებოდა ერთი კანონიერი და მასთან ლოღიკური გზა. მეორე გზა: უნდა ყოფილიყო აღნიშნული მაქსიმალური ნორმები პროცენტებით ამა თუ იმ შემოსავალზე (საერთო შემოსავალი, მოგება), რომელიც აქვს ხარჯდასადებ სავაჭროს ან სამრეწველოს.

ეს ნორმები იქნებოდა საერთო, ხოლო რაოდენობა ყოველი ქალაქისათვის დაახლოებით იქნებოდა ნავარაუდევი.

უფლებრივ სახელმწიფოში შეუწყნარებელია გამოურკვეველი, უსისტემო ხარჯები. ყოველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს ნორმა იმ ხარჯებისა, რომელიც უნდა გადაიხადოს, სულერთია, სახელმწიფო გადასახადია, საქალაქო, თუ საერობო.

აგრეთვე სახელმწიფოს მთავრობამ უნდა იცოდეს ზედმიწევნით, რა გადასახადებს და რამდენს იხდის მოქალაქე. უამისოდ არავითარი მეურნეობა არც სახელმწიფო, არც საერობო და არც კერძო ნორმალურ სახეს ვერ მიიღებს.

გადასახადების შემოღებაში უნდა იყოს შემუშავებული საგადასახადო სისტემა. არ შეიძლება არსებობა გადასახადთა უსისტემობისა.

სხვა საკითხია თუ რამდენად მისაღწევია მთავრობისათვის შემოღება გადასახადთა ისეთი სისტემისა, რომელიც არ დასჩაგრავს ერთს და დაუმსახურებელ შეღავათს არ მისცემს მეორე ხარჯ-გადამხდელს. თეორიულად სასურველია და სანატრელი შექმნა ისეთი საგადასახადო სისტემისა, რომელიც ერთნაირად დაიცავს ყველას ინტერესებს. ეს ჯერ ძნელი ასასრულებელია, რადგან საერთოდ ხარჯ-გადამხდელთა ბუნება ემორჩილება ისევ ეგოისტურ მიდრეკილებას, ზოგი ნაკლებ ზოგი მეტად. მაგრამ მაინც ამ გარემოებით იარაღად გამოყენება წინააღმდეგ გადასახადთა სისტემიანობისა — დარღვევა იქნება კანონიერებისა.

დასკვნა. ერთდროული სასანიტარო გადასახადი, ზემოთ მოხსენებულ დეკრეტის მე-4 მუხლის გარდა, საჭიროებს დამატებაში, რომლითაც უნდა აღნიშნოს მაქსიმუმი ნორმებისა. მხოლოდ ამის შემდეგ ამ დეკრეტს მიეცემა გარკვეული კანონიერების ხასიათი. მანამდე ეს არ იქნება ლოღიკურად უნდა დაისკვნას: არ შეიძლება განხორციელება კანონისა, რომელიც თხოულობს დამატებას, გარკვევას.

შეიძლება აკრძალვა პირდაპირი გადასახადების გადატანისა სავაჭრო საქონელზე, მრეწველობას ნაწარმოებზე და სხვ. თუ არა?

აქამდე არ არსებობდა პირდაპირი გადასახადის მომხმარებელზე გადატანა. რომ ყოფილიყო კანონი, არ იქმნებოდა დეკრეტის პროექტი,

გადასახადების გადატანა საქონელზე, ნაწარმოებზე, ბინაზე და სხვა ეს აუცილებელი ბუნებრივი მოვლენაა. ბრძოლა ამის წინააღმდეგ არის ხელოვნური საშუალება, რომელიც მიზანს ვერ მიაღწევს. ფასი ნაწარმოებისა შესდგება: წარმოებაზე დახარჯული შრომის ღირებულებისაგან, მასალის ფასისაგან, მანქანების გასანაღდებელ პროცენტებისაგან, რამდენიც შეხვდება ნაწარმოებას სხვა ხარჯებისაგან (ამაში შედის ყველა გადასახადები) და მოგება მწარმოებლისა.

გასაყიდ საქონლის ფასი შესდგება უფრო ნაკლებ ელემენტებისაგან, რადგან მუშაობის და სხვ. ფასი ნაწარმოებისა უკვე ნაანგარიშევი იყო მწარმოებლის მიერ, როდესაც ნაწარმოები გამოიტანა ბაზარში გასაყიდათ. გამყიდავი საქონელს უეჭველად დაადებს გადასახადის დასაფარავად რამდენ მე პროცენტს, იმის მიხედვით თუ რა საქონელია გასაყიდათ. გარდა ამისა ვაჭარი აანაზღაურებს ყველა ხარჯებს, რომლებსაც ის იხდის ბინისას, ნოქრებისას, დაზღვევისას, გზის ხარჯისას და სხვ. რაოდენობა გადატანილ ხარჯისა ამა თუ იმ საქონელზე დამოკიდებულია თვით საქონელზე, იმის მოთხოვნაზე. თუ საქონელი არსაიდამ მოდის და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ადგილობრივ მომხმარებელთათვის — გადასახადი უეჭველად გადაიტანება საქონელზე. გადასახადის გადატანა შეუძლებელია ან სავსებით ან ნაწილობრივ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც აქაური საქონელი, ნაწარმოებნი ელიან კონკურენციას. დღევანდელ პირობებში გადასახადის გადატანა საქონელზე ნაწარმოებზე გაცილებით უფრო ადვილია ვიდრე მაშინ, როდესაც თავისუფლად შემოვა გასაყიდი საქონელი. ჩვენი ბაზარი აუცილებლად ყველასათვის საჭირო საქონლით მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. საქონელი ძვირდება. ხვალ რომ მრავლად შემოვიდეს ყველა საქონელი, დადებულ გადასახადს ან ვერ გადაიტანდა ვაჭარი, მწარმოებელი, ან გადაიტანდა ზომიერად, მცირეს. მიხედვით გადასახადის რაოდენობისა და მისი გადახდის უნარისა ან გაუძლებდა ვაჭართ-მრეწველობის ხარჯის გადახდას, ან შეირყევოდა მისი მდგომარეობა. ორივე შემთხვევაში ბუნებრივათ და არა ხელოვნურად ნაწილდება მსყიდველს, მომხმარებელს ვაჭრობა-მრეწველობაზე დადებული გადასახადი.

დასკვნა: სასურველი არ უნდა იყოს დამფუძნებელ კრების მიერ შემოღება ისეთი კანონისა, რომელსაც ცხოვრებაში ვერ გაატარებენ ვერ გაატარებენ, იმიტომ, რომ ეწინააღმდეგება მწარმოებლის ბუნებრივ მისწრაფებას

დეკრეტის მეორე მუხლით წინამუხლში აღნიშნულ აკრძალვის დარღვევისათვის დამნაშავე დაისჯება მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ (დასანიშნავ სასჯელთა წესდების მე-29 მუხლის თანახმად. „იმ დამატებით, რომ განმეორებულ შემთხვევაში დამნაშავეს წარმოებაც დაეკეტოს სამ თვემდე.

უკანასკნელი სასტიკი ზომა, თუ კანონი იწერება ასასრულებლად, შეჰქმნის ასეთ სურათს. 1 მუხლის დარღვევისათვის მოსამართლემ დასაჯა (საეჭვოა ხარჯის გადატანის დამტკიცება). მეორეთ — დარღვევისათვის დაკეტა. რამდენად სასურველია სავაჭროების და სამრეწველოების დაკეტვა? რა შედეგი მოჰყვება ამას? ეს გათვალისწინებული არ არის, რაკი არსებობს მეორე მუხლის ბოლო.

დეკრეტის მესამე მუხლის არსებობა როდესაც არსებობს მეორე მუხლი — არის მომრიგებელ მოსამართლეთა მიმართ უნდობლობის გამოცხადება.

თუ არის მეორე მუხლი, მესამეს ადგილი არა აქვს. უფლებრივ სახელმწიფოში ადმინისტრატიულ სასჯელს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თუ მთავრობას ჰსურს სასამართლოების პრესტიჟი აღადგინოს და დაიცვას. არას დროს, არსად ადმინისტრატიული სასჯელი არა ყოფილა კანონიერი. ადმინისტრატიული სასჯელი შემოიღება მხოლოდ მაშინ და იმისთანა საგნისათვის, როდესაც წინადვე ჰგრძნობენ შემოღებულ კანონის უკანონობას, რომლითაც მოსამართლე ვერ იხელმძღვანელებს.

ალ. ჯაბადარი.

მთიელები პარიზში

პარიზიდან ეხლახან თბილისში დაბრუნებული მთიელთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი და წარმომადგენელი ვერსალის კონფერენციაზედ ბ-ნი ჰაიდარ ბამატოვი, საუბარში „ვოლნი გორეც“-ის თანამშრომელთან ასე მოგვითხრობს მთიელთა მუშაობის შესახებ ევროპაში:

„ჩვენი დელეგაციის ნაწილმა დასტოვა პარიზი და ჩამოვიდა კავკასიაში, რათა საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს ხალხს და მათ წარმომადგენლებს ჩვენი მუშაობის ყველა დარგების შესახებ. ჩვენც ნათლად ვერ გვქონდა წარმოდგენილი აქაური მდგომარეობა.

დღეს, ყველას აზრით, ვერსალის კონფერენცია განიცდის, მკვდარ ხანას, რომელიც ალბად დასრულდება მაშინვე გერმანიის ხელშეკრულების ამერიკის სენატის მიერ რატიფიკაციის შემდეგ.

ნამდვილად კი საზავო კონფერენცია ვერ შეეხება ვერც აღმოსავლეთ ევროპის საქმეების განხილვას და ვერც აზიისას.

ამერიკის სენატისათვის კი რატიფიკაციის საკითხი იმოდენად მწვავე და რთული საკითხია, რომ კიდევ დიდი ხანი გაივლის სანამ მორიგდებიან მებრძოლი პარტიები და დაამტკიცებენ ხელშეკრულებას.

კერძოდ ჩვენზე კი უნდა ითქვას, რომ ჩვენი საკითხი, რომელიც ჩრდილო-კავკასიის დაპყრობის შემდეგ (1864 წელი) არ აფიქრებდა ევროპის წრეებს დღეს. ჩვენი დელეგაციის ცდით საერთაშორისო საკითხად არის გადაქცეული. ჩემის აზრით კავკასიის რესპუბლიკათა პოლიტიკური პერსპექტივები დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს.

მე შემთხვევით არ ვლაპარაკობ კავკასიაზე, როგორც ერთ მთელზე, ვინაიდან მთიელთა პასუხისმგებელი მეთაურნი მთიელთა კავშირის შექმნის შემდგომ ყოველთვის მთიელთა ბედს უკავშირებდენ ამიერ-კავკასიის ხალხთა ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხთან.

ჩვენ მთიელნი თავს ყოველთვის ვგრძნობდით კავკასიის დიდი ოჯახის წევრად. ვიყავით ერთი გეოგრაფიული ეკონომიური და პოლიტიკური მთელის ნაწილი ამაზე ეყრდნობოდა ჩვენი პოლიტიკა ტრაპიზონში, კონსტანტინეპოლში და ეხლა პარიზში. ამაში ჩვენ რყევა არ ვიცოდით.

ამ თვალსაზრისს, კავკასიის ხალხთა პოლიტიკურ ბედის ერთგვარობის თვალსაზრისს, თანაგრძნობით ეპყრობა ევროპის და ამერიკის პოლიტიკური წრეები.

პრეზიდენტმა ვილსონმა ჩვენს და აზერბაიჯანის დელეგაციას უთხრა, რომ ვერსალის კონფერენციის მიზანი არ არის დაჰყოს ქვეყანა უამრავ უჯრედებად, არამედ საერთო ინტერესები გვიკარნახებენ მსხვილ ერთეულების შექმნას ფედერატიულ და კონფედერატიულ საფუძველზე. ამისათვის ჩვენს პოზიციას ამერიკა თანაგრძნობით შეხვდება.

მ. ი. ჯაფაროვი აზერბაიჯანის მდგომარეობაზე

ბათუმიდან ბაქოში დაბრუნდა საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. ჯაფაროვი, რომელიც ბათუმში თან ახლდა გენერალ ჰარბორდის მისიას.

ჩვენ მიერ მიღებული ცნობით, გზაში მინისტრს ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი გენ. ჰარბორდთან ინფორმაციული და პოლიტიკური ხასიათისა, რომელშიც მან გააცნო იგი აზერბაიჯანის საშინაო და საგარეო ცხოვრების მორიგ საკითხებს და ყველა ის დეტალები, რომელთა გაცნობის საშუალება არ ჰქონდა გენერალ ჰარბორდს ბაქოში მცირე ხნით ყოფნის დროს.

თბილისში ჰქონია შეხვედრა უორდროპთან და პოლკოვნიკ ჰასკელთან, რომელიც მადლობას უცხადებდა აზერბაიჯანის მთავრობას — იმ გულწრფელ მიღებისათვის, რომლითაც მიიღეს ბაქოში ამერიკული მისია.

ბათუმში მინისტრი მიწვეულ იქმნა ამერიკელთა სამხედრო გემზე „გეორგ ვაშინგტონზე“, რომლითაც ამერიკული სამხედრო მისია ევროპას გაემგზავრა. მინისტრის საპატივსაცემოდ გაიმართა საუზმე, რომელზედაც იქმნა მიწვეული გენ. ჰარბორდის სრული ამალა და გემის სრული საოფიცრო შემადგენლობა.

მეორე დღით, საქართველოსა და აზერბაიჯანის წამსვლელ კონსულთა საპატივსაცემოდ, გამართეს სადღესასწაულო ბანკეტი, რომელზედაც დაესწრენ ამალიდან 40 კაცი და მეზღვაურები. ბანკეტმა მხიარულად ჩაიარა.

საქართველოს წარმომადგენელთან კერძო საუბარში პოლკ. ჰასკელი შეეხო აზერბაიჯანს. დაახასიათა აზერბაიჯანის დღევანდელი მთავრობა, როგორც ჯგუფი ენერგიულ და მოსაქმე ადამიანთა, რომელთაც მოასწრეს ბევრის გაკეთება. მიუხედავად მომენტის სიძნელისა მათ მაინც შესძლეს მრავალ დაბრკოლებათა გადალახვა და წესიერებისა და კანონიერების დამყარება გენ. ჰარბორდმა და პოლკ. ჰასკელმაც ორჯელ გაუმეორეს მინისტრს, რომ აზერბაიჯანის მთავრობის მოქმედებიდან მათ კარგი შთაბეჭდილება მიიღეს, რადგან უკანასკნელი ყოველთვის ცდილობდა კონფლიქტები ჯერ მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტა და ამავე დროს დაეცვა სახელი და ღირსება სახელმწიფოსი. მშვიდობის მოყვარე და არა აგრესიული პოლიტიკა აზერბაიჯანისა და მისი სურვილი წესიერებისა და კეთილმეზობლურ დამოკიდებულებათა დასაცავად ახდენს მათზე მეტად სასურველ შთაბეჭდილებას, რასაც იგინი გაუზიარებენ საზავო კონფერენციას პარიზში.

პოლკ. ჰასკელი მინისტრთან გამოთხოვებისას, შეეხო რა კავკასიის საქმეებს, სხვათა შორის გამოსთქვა იმედი, რომ სულ მოკლე ხანში ბოლო მოეღება აზერბაიჯანისა და მიხალისეთა შორის ატეხილ დავას და აზერბაიჯანის მთავრობაც მიიღებს სრულ გარანტიას მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობისას.

თბილისში დაბრუნებისას მინისტრი შეჰხვდა ბ. გეგეჭკორს, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მორიგ საკითხებზე. („აზ.“)

საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტა

რუსების მოქმედების შესახებ ბათუმის რკინის გზაზე

თბილისი. ოქტომბრის 13. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრიტანიის უმაღლეს კომისარს ამიერ-კავკასიაში ოლ. უორდროპს შემდეგი ნოტა გაუგზავნა: „თქვენო აღმატებულებავ! საქართველოს რკინის გზების მიდამოების გენერალ გუბერნატორი ოქტომბრის 9-ის მოხსენებით შემდეგს გვაუწყებს: ღვინობისთვის 8 ქობულეთის სადგურზე მატარებელ № 45-თან გამოცხადდა კინტრიშის ნაწილის უფროსი პოლკოვნიკი კუვიაზევი, ეროვნებით რუსი, და ბილეთის კასაში წარადგინა დონის ოლქის 25 მანეთიანი ფულის ნიშანი. მოლარემ ქ-ნმა კობახიძემ და სადგურის უფროსმა ცინცაბაძემ განუცხადეს, რომ მათ არ შეუძლიათ ამ ფულის მიღება, რადგან მას მსვლელობა არა აქვს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში.

ამ განმარტებამ, ალბად, არ დააკმაყოფილა ბ-ნი კუვიაზევი, რომელმაც კასას თავისი შეიარაღებული ჩაფრები შემოარტყა, ჩაფრებმა დააპატიმრებინათ მოლარე ქალი და სადგურის უფროსი და სიტყვიერად შეურაცხყო როგორც ისინი, ისე ზოგიერთი სხვა მოსამსახურეც. სადგურის უფროსმა დაინახა, რომ ძალას ხმარობდნენ და თავის დაცვა არ შეეძლო, იძულებული გახდა ძალას დამორჩილებოდა და პოლკოვნიკის მიერ წარდგენილი ფული მიეღო.

ამასთანავე გენერალ-გუბერნატორი სულაქველიძე იუწყება, რომ თუ ბათუმის ადმინისტრაციის რუს-მოხელეების მხრით ამის მაგვარი გამოსვლები განმეორდა, რკინის-გზის მოსამსახურენი იძულებული იქნებიან სამსახური დასტოვონ იმის შიშით, რომ მოყვანილ შემთხვევის მაგვარ ძალადობის მსხვერპლნი გახდებიან მომავალში.

ვაუწყებ რა ამას თქვენ აღმატებულებას, ჩემი № 600 ნოტის დასამატებლად, ჩემი მთავრობის დავალებით, გთხოვთ სათანადო განკარგულება გასცეთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ასეთ გამოსვლებს ბათუმის ადმინისტრაციის რუს-მოსამსახურეების მხრით.

მიიღეთ რწმუნება და სხ. საგარეო საქმეთა მინისტრი **ევგ. გეგეჭკორი.**

საქართველოს და აზერბაიჯანის ნოტა საზავო კონფერენციისადმი

პარიზი, 24 მკათათვე 1919 წ.

ბ. კლემანსოს, პარიზის საზავო კონფერენციის წარმომადგენელს.

ბატონო თავმჯდომარე.

ვიმყოფებით რა იგრედ წოდებულ მოხალისეთა არმიის შემოსევის საფრთხის წინაშე, საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობათ საჭიროდ ვსცანით 16 თიბათვეს დაედვათ ხელშეკრულება (თავდაცვითი), რომელშიაც მონაწილეობის მისაღებად იქმნა მოწვეული სომხეთიც. ვურთავთ რა ამასთანავე ხელშეკრულობის ასლს გთხოვთ აღნიშნოთ ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობა, რომლის აშკარად დამამტკიცებელია 16 თიბათვის ხელშეკრულობა.

ვიმედოვნებთ ჩვენ, რომ ხელშეკრულება, რომლის ერთად ერთ საფუძვლად დადებული განსაკუთრებითი თვით დაცვა არ იქნება გასინჯული როგორც აქტი საერთო სამხედრო გამოსვლისა. მოკავშირეთა მფარველობის ქვეშ მყოფი ამიერ-კავკასია ასცდება ყოველგვარ შესევას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაცული იქნება მოკავშირეთა კონტროლი დენიკინის სამხედრო მოქმედებებზე.

მეორე მხრით საჭირო ხდება, ხაზგასმულ იქმნას განსაკუთრებით მე 4 ხსენებულ ხელშეკრულობისა, რომლითაც ორივე მხარე გადასწყვეტს სადავო ტერიტორიალ საკითხებს შეთანხმებით თუ არბიტრაჟის საშუალებით.

ამ რიგად შეიქმნა სოლიდარობის ბაზისი მეზობელ რესპუბლიკათა საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიის შემოსაფარგლავად.

გთხოვთ რა ზემოდთქმულის მოხსენებას მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოში, ჩვენ ვსარგებლობთ შემთხვევით დაგიმოწმოთ თქვენ, ბ. თავმჯდომარე, ჩვენი პატივისცემა.

ხელს აწერენ: საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე **ჩხეიძე** აზერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომარე **თოფჩიბაშევი.** (ბ.)

ინგლისის ჯარები საქართვ. და აზერბაიჯანისათვის

კონსტანტინოპოლიდან მიღებული ცნობებით, მოკლე ხანში საქართველოში და აზერბაიჯანში უნდა გამოიგზავნონ ბრიტანეთის ჯარები. უკვე შემდგარა განსაკუთრებული დივიზია 10 ათას მოხალისეთაგან, რომელნიც მოკლე ხანში გამოიგზავნებიან. ამიერ-კავკასიაში მყოფ ჯარების მთავარ სარდლად დანიშნულია გენ. ბრაფი, რომელსაც მოკლე ხანში მოელიან კონსტანტინოპოლში.

ქრონიკა

მცხეთობის თვის. დღეს, მცხეთის დღესასწაულზე ქალაქთა კავშირი ჰმართავს ავტომობილებით მიმოსვლას თბილისსა და მცხეთას შუა და მცხეთის სადგურისა და ტაძრის შუა. ავტომობილები თბილისიდან (თავისუფლების მოედნიდან, ყოფ. ერევნის მოედ.) გავლენ დილის: 8, 8 ნახ. 9, 9 ნახ. და 11 საათზე, ხოლო მცხეთიდან გამობრუნდებიან: ნაშუადღევის 3, 4, 4 ნახ. და 5 საათზე და სა

მოს 6 საათზე. სადგურსა და ტაძარს შუა მიმოსვლა იწარმოებს განუწყვეტლად. ბილეთების შეძენა შეიძლება ქალაქთა კავშირის ტეხნიკურ განყოფილებაში (პუშკინის ქ. № 3).

◆ **საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ევ. პ. გეგეჭკორთან** გუშინ სადარბაზოდ იყო საფრანგეთის მისიის უფროსი გენ. გური.

◆ **მისტერ ოლივერ უორდროპი.** დღეს 14 ღვინობისთვეს საგანგებო მატარებლით ნაშუადღევს 3 საათზე მიემგზავრება ერევანს. საქართველოს მთავრობის მხრივ მათთან ერთად მიემგზავრება პოლკ. მელიქიშვილი და 2 ინგლისელი ოფიცრები, ორიც მდივანი. ერევნიდან ოლივერ უორდროპი აპირებს ეჩმიაძინში შევლას.

◆ **სარაიონო მილიც. უფროსის მოკვლა.** შინაგან საქ. მინისტრმა დეპეშა მიიღო მაზრის მილიციის უფროსის ნატროშვილისაგან თელავიდან რომ სოფ. ზემო-ხოდაშენში ყაჩაღებთან შეტაკების დროს მოუკლავთ იყალთოს რაიონის მილიციის უფროსი ჩეკურიშვილი.

◆ **ანანურზე თავდასხმა.** თბილისში მოსულ ცნობებით დუშეთის მაზრის სოფ. ანანურს 40 სული შეიარაღებული ბრბო დასცემია და გაუცარცვავთ. არიან დაჭრილ-დახოცილებიც.

◆ **ანანურის ფოსტის თავდასხმა.** ფოსტ.-ტელ. ოლქის უფროსმა მოახსენა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ანანურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებას საღამოს ჟამს თავს დასხმიან ყაჩაღები, გაუძარცვავთ საფოსტო განყოფილება დაუმტვრევიათ ტელეფონი და წაუყვანიათ ზედამხედველი ჯამბაძე.

◆ **გერმანელ ტყვეთა** მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მოსაგვარებლად შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დაინიშნა საუწყებათა-შორისო კომისია.

◆ **ყაჩაღთა თარეში.** თბ. მაზრის თეთრი წყაროს თემის თავმჯდომარე დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს რომ სათემოში ყაჩაღობა ძლიერ გახშირდა და საჭიროა გვარდიელების მოშველებაო.

◆ **შვეიცარიელთა ზარალის გამოკვლევა.** შინ. საქმ. მინისტრის ადმინისტრაციის ინსპექტორი ბ. გეგელაშვილი და შვეიცარიის დიპლ. წარმომადგენელი გაემგზავრენ ბორჩალოს მაზრაში სადაც ადგილობრივ უნდა გამოარკვიონ ადგილობრივ მცხოვრებთან ერთად ბაშკიჩეთის რაიონში მცხოვრებ შვეიცარიელთა ქვეშევრდომთა მიზეზები და გარემოებანი.

◆ **განსაკუთრებულ კომისიაში** რომელსაც საგუბერნიო ციხეების ქონების და საქმეების ჩაბარება დაევალა შინ. საქმ. მინისტრის განკარგულებით დაინიშნენ: სატუსაღოთა ინსპექტორის თანაშემწე ივ. იაშვილი ადმინ. ინსპ. განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელე ალ. შენგელია და საგ. ინსპ. საქმის მწარმოებელი ხონელიძე.

◆ **მცხეთობა.** დღეს 1 ოქტომბერს (ძველი სტილით) სვეტიცხოვლის ტაძრის დღეობაა. მწირველი ბრძანდება მათი უწმინდესობა საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ლეონიდე უმაღლესი სამღვდელოებით. მცხეთასა და თბილის შუა საგანგებო ავტომობილები და მატარებლები ივლიან გამოცხადებულ დროზე. ქართული საქვ. საზოგადოება დიდ საჯარო ბაზარის გამოფენას აწყობს ამ დღეს სვეტი ცხოვლის გალავანში. გაიყიდება საზოგადოების სახელოსნოთა მოწაფეთა ნაწარმოები ხელ საქმისა და მეჭურჭლეობისა. აქვე სტუმართათვის მოეწყობა ცალკ-ცალკე დაცემულ კარვებში საუზმე სადილები ხელსაყრელ ფასებში.

◆ **გენერალ მილნის ჩამოსვლა** როგორც გვატყობინებენ სტამბოლიდან ბათომში ჩამოვიდა ბრიტანეთის ჯარების მთავარ-სარდალი გენერ. მილნი.

◆ **ებრაელთა თბილისის ეროვნულ საბჭოს არჩევნები.** 12 ღვინობისთვეს მოხდა თბილიში ებრაელთა ეროვნულ საბჭოს არჩევნები. არჩევნების შედეგი ასეთია: მონაწილეობა მიიღო 1020 კაცმა აქედან (უპარტიოთა სია) № 1 მიიღო 110 ხმა; (ცეირეციონი) № 2—116 (ხელოსანთა ჯგუფი) № 4 - 100 (ბუნდისტები) № 5—146 (სიონისტები) № 6—343 (პოალე ციონი) № 7—160 (კლერიკალები) № — 8 — სულ საბჭოში აირჩიეს 42 კაცი. აქედან № 1.—გაიყვანა—4; № 2—5; № 4—4; № 5—6; № 6—15; № 7—7; № 8—1.

ქალაქის გამგეობაში

◆ **სახალხო განათლების კომისიის დაარსების შესახებ.** ქალაქის გამგეობამ განიხილა ქალაქის სასკოლო კომისიის მიერ წარმოდგენილი მოხსენება, სახალხოგანათლების საქმეთა მართველ კომიტეტის დაარსების შესახებ, არადემოკრატიულად სცნო. ის ფუნქციები, რომელნიც სასკოლო კომისიას დაუსახავს ხსენებულ მომავალ კომიტეტისთვის, და უარჰყო მისი საჭიროება. მაგრამ მიუხედავად ამისა დაადგინა საკითხი ხსენებულ კომიტეტის დაარსების შესახებ გადაიტანონ საბჭოს სხდომაზე განსახილველად.

◆ **ქალაქის სამოხელოსნო სკოლაში.** ქალაქის გამგეობამ მოისმინა, ქალაქის სამოხელოსნო სასწავლებლის დირექტორის მოხსენება ხსენებულ სასწავლებლის შესახებ და დაადგინა, დახუროს სასწავლებლის რუსული განყოფილება, მოსწავლეთა მცირე-რიცხოვნების გამო დახუროს. მის ნაცვლად გაიხსნას ქართული და სომხური განყოფილებანი.

◆ **ქალ. გამგეობის მდივნის განცხადება.** ქალაქის გამგეობის მდივანი ამით აცხადებს, რომ ყოველგვარი ცნობების მიღება გამგეობის დადგენილებათა შესახებ შეიძლება არა გამგეობის მდივანთან, არამედ სათანადო განყოფილებათა კანცელარიიდან. ხოლო იმ ცნობების მიღება, შეიძლება 1—3 საათამდე.

პარტიული ცხოვრება.

— ადგილობრივ მცხოვრებთა და პროვინციიდან ჩამოსულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სტუდენტთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ სწარმოებს საჩქარო რეგისტრაცია პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა. ჩაწერა შეიძლება სტუდ. სასადილოში დილის 11 საათიდან 4-მდე, და სახ. უნივერსიტეტში საღამოს 5 საათიდან 11-მდე.

— ხუთშაბათს, 16 ღვინობისთვეს, საღამოს 6 საათზე სამეურნეო ურთიერთობის საზოგადოების შენობაში („ქართულ კლუბის“ პირდაპირ) მოხდება ქ. თბილისის მე 2, 3, და მე 4 სამილიციო უბნებში მცხოვრებ საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის წევრთა საზოგადო კრება. დღიური წესრიგია: 1) სპ. კედიას მოხსენება „საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა“, 2) ალ. ახათიანის მოხსენება: „საქართველოს მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა„.

ვასილ ბარნოვის იუბილეს გარშემო

საიუბილეო კომისია.

კვირას, ნაშუადღევს 12 საათზე მწერალთა კავშირის საბჭომ დაადგინა ნოემბრის პირველ რიცხვებში 30 წლის იუბილე გაუმართოს დამსახურებულ მწერალს ვასილ ბარნოვს.

ამასთანავე არჩეულ იქმნა საიუბილეო კომისია რომელშიაც შედიან: ნიკოლოზ შიუკაშვილი, დუტუ მეგრელი, არტემ ახნაზაროვი, ნინო ნაკაშიძე, გიორგი ლეონიძე, ვარლამ რუხაძე, ს. ფაშალიშვილი და გ. ქუმბურიძე.

საიუბილეო კომისიის პირველი სხდომა მოხდება ხვალ, ოთხშაბათს, საღამოს 6 საათზე.

დღეობები ჩვენში

დღეობებს ისევე გრძელი ისტორია აქვთ, ვით კაცობრიობას. დღეობები საბერძნეთში იდღესასწაულებოდნენ დიდის გამოფენებით და ჰქონდათ ერთგვარი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ესევე იყო ჩვენშიაც უხსოვარ დროიდგან. დღეობები საქართველოში იყო არა თუ მარტო სალოცავი ადგილი, არამედ პატარა გეგმით თვით პარლამენტიც. აქ ირჩეოდა და სწყდებოდა ხშირად დიდ-დიდი საპოლიტიკო საქმეები, აქ მთელი თემი ეცნობოდა ერთურთს, სწავლობდა საზოგადო ადათებს, წეს-წყობილებას, გაიცნობდა თავის მოღვაწეებს, თავის მამაცა გმირებს. აქვე იმართებოდა ჯირითობა, დოღი, ათასგვარი სავარჯიშოები, ვით ბურთაობა, სროლა, სირბილში გაჯიბრება, გადახტომა მანძილზე, შუშპარი და მრავალი სხვა ტანისა და სულის მარგებელი სავარჯიშო. რაღა თქმა უნდა უნდა, აქვე ხშირად სასულიერო მიძღვრება გაისმოდა, აქვე ხელდახელ მოწყობილ ტრიბუნიდამ ხალხს თავს უყრიდა რომელიმე სახორციელო ორატორის მჭევრმეტყველება, მოწოდება ბრძოლად მტერთან თუ შრომად მინდორველსა თუ ბაღ ვენახში.

დღეობა იყო ერთგვარი გამაღვიძებელი ღონე ერისა. ბევრს უხურებდა სისხლს, ახალ გაზდას ჰმატებდა სიგმირეს, ყველას უნერგავდა იმედს, ასწავლიდა ერთობას, ძლიერებას.

იშლებოდა დღეობი სიხარულით, სროლა ჭეხით. ყველა ბრუნდებოდა შინ განახლებული ხორცით, სულით, მოლიმარი და მოიმედე, რომ გამძვინვარებულ დევებსაც დასძლევენ, თუ გაბედეს და მოესივნენ მათ თავისუფლებას.

აი ამიტომაც მე ვერ წარმომიდგენია საქართველო უსვეტიცხოვლოდ, უალავერდოდ, უგელათოდ, უილოროდ, ვერ წარმომიდგენია საინგილო უქურმიხისაყდროდ, ფშავხევსურეთი თუშეთი უთამარმეფ-ლაშქაროს ჯვროდ, შიგნითი კახეთი უთეთრგიორგოდ, თბილისი უდიდუბეოდ, უმთაწმინდოდ, სვანეთი უკვირიკე თვლიოდ, გურია უშემოქმედოთ, სამეგრელო უმარტვილოდ, რაჭა უნიკორწმინდოდ და სხვა ყოველი მისადევარი უთავის-დღეობოდ.

მე ვფიქრობ, დღეობების გონივრად მოწყობის საქმე და გამორჩეულებით ზეიმობის გამართვის კითხვა პირდაპირ შეეხება ქართულ ხელოვანთა საზოგადოებასა თუ წრეს და მან უნდა იზრუნოს ამის შესახებ, რათა პარლამენტმა დააკანონოს, გარდა **პირველ და 26 მაისობასა**, კიდევ ნინოობა (14 იან.), თამარობა (1 მაისს), სვეტიცხოვლობა (1 ოკტ.), გიორგობა (10 გიორგ.)—ეს საყოველთაოდ მთელის საქართველოსთვის, აგრეთვე ადგილობრივ მისადევრების საზეიმოდ ალავერდობა, ლაშარის ჯვრობა, ოქონობა, გელათობა, ილორობა და სხვა.

ნინოობა, სვეტიცხოვლოსა, თამარობა საყოველთაოდ იმიტომ, რომ თუ არ ესენი, საეჭვოა, ჩვენ გვქონოდა ის აუარებელი პირველ-ხარისხოვანი ეტრატოვანი საუნჯეები, რომელთა მხილველი ევროპიელები განცვიფრებით და აღტაცებით აღიარებენ ქართველი ერის დიდ კულტუროსნობას, და თუ დამოუკიდებლობას გვპირდებიან, უფრო იმიტომ, რომ გვაბადიან არათუ მარტო ეს ფასდაუდებელი საუნჯეები, არამედ ისეთი ბუმბერაზი ძეგლებიც, ვით ალავერდი, სვეტიცხოველი, სიონი, გელათი, ბაგრატის ტაძარი და სხ. და იგეთი მნათობები ქართველ ერისა, ნინო, ბაგრატი, აღმაშენებელი, თამარი, შოთა, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ნინოშვილი, მოჩხუბარიძე, ვაჟა-ფშაველა და მრ. სხვა წარჩინებული მძღოლი ერისა.

წინაპართა დაფასება, პატივისცემა ისეთივე საღვთო მოვალეობაა შთამომავლობისათვის, ვით ღვიძლი შვილი შვილისათვის მის დედ მამისა. ვინც შეგვქმნა, გვასაზრდოვა, გმირული სული ჩაგვბერა და აუარებელი კულტურული მემკვიდრეობა გვიანდერძა, იმას პატივიც უნდა ვსცეთ, თუ გვსურს ვიწოდოთ ღირსეულ შვილად ღირსეულ გმირულ მამებისა.

მ. ჯანაშვილი.

სომხეთი

სომხოფილური მიტინგი.

2 ენკენისთვეს პარიზში მოხდა დიდი მიტინგი სომხოფილებისა. მიტინგზე თავმჯდომარეობდა „საფრანგეთის რესპუბლიკანურ ახალგაზრდობის“ ჯგუფის თავმჯდომარე ბ. რიფო და მისი ამხანაგი ბ. ემილ ფინო. მიტინგზე ილაპარაკეს პოლ პენლევემ, მთავრობის ყოფილ თავმჯდომარემ, ბ. ბუისონმა, (თავმჯდომარე „კაცის უფლების კავშირისა“), პოლ ფლერომ (პარიზის მილიციის უფროსის ამხანაგი) და სხ. ორატორები, რომელთა საგანს შეადგენდა „ოსმალური საკითხი და საფრანგეთის ზეგავლენა“, უმთავრესად არკვევდნენ სომხის ერის ახლანდელ მძიმე მდგომარეობას და მოითხოვდნენ, რათა მოკავშირე სახელმწიფოთ დააჩქარონ და ნება არ მისცენ ოსმალებს სისრულეში მოიყვანონ თავიანთ განზრახვა სომხეთის გასანადგურებლად. შემუშავდა რეზოლიუცია მთავრობისადმი წარსადგენად.

(„ჰაიასტან“).

„ჰაიკოპი“ საერთაშორისო კონგრესში.

კოოპერატივების საერთაშორისო კონგრესმა, შედგენილი ამ ბოლო დროებში ლონდონში, დაუდგენია მიიღოს „სომხეთის კოოპერატივების კავშირი“ საერთაშორისო კავშირის წევრად. ლონდონის კოოპერატივების კონგრესში „ჰაიკოპს“ გაეგზავნა მოხსენება თავის მოღვაწეობაზე და დაენიშნა თავისი წარმომადგენლები.

(„აშხატ.“)

ქურთების აჯანყება დიარბექირში.

დიარბექირიდან იუწყებიან, რომ ქურთების აჯანყება, რომელსაც მეთაურობდა ქურთი ალი ბატი ოსმალეთის მთავრობის მიერ გაგზავნილ ჯარის ერთი ნაწილის მოქმედებით გაფანტულა და მერე განადგურებულა.

(„სადაი მილლეთ“)

მაისის კანონით სომხეთის მთავრობამ დაადგინა ერივანში უნივერსიტეტის გახსნა. უნივერსიტეტს ექნება 4 განყოფილება (ფაკულტეტი): ისტორიულ-ლინგვისტური, იურიდიულ-ეკონომიური, სამედიცინო და ფიზიკო-მატემატიკური 4 საინჟინრო განყოფილებით. უნივერსიტეტს საორგანიზაციო ხარჯი გამოუციათ 300 ათასი მანეთი. ორგანიზატორებად დანიშნეს პროფესორები ღამბარიანი და ზურიანი. ისტორიულ-ლინგვისტურ და იურიდიულ-ეკონომიურ ფაკულტეტების ხარჯი დანიშნულია 2,250,200 მანეთი.

იანვრიდან დაიწყება კანონიერი სწავლა ისტორიულ-ლინგვისტურ და იურიდიულ-ეკონომიურ ფაკულტეტებზე („ჰარაჩი“).

გერმანიაში

(გერმანული რადიო)

მუშათა საბჭოში.

კომუნისტები გავიდნენ მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტიდან, რომელშიაც ეხლა მხოლოდ დამოუკიდებლები არიან.

დამოუკიდებლების ორგანო „ფრეიჰაიტ“-ი ამბობს, რომ კომუნისტებს თანდათან ნიადაგი ეცლებათ.

გერმანულ საფრანგეთში.

მორის ბარი გაზ. „ეხო დე-პარი“-ში რეინის მხარეში საფრანგეთის სურვილების შესახებ ამბობს, რომ რეინის პროვინციებს ყოველ დღე შეუძლიათ დარწმუნდნენ, თუ როგორ ჰგულისხმობს საფრანგეთი თავისუფლებას. მცხოვრებლებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მაინის მხარის სკოლებში ფრანგული ენის შემოღებამ.

ეროვნულ ყრილობაზე.

პრუსიის ეროვნულ ყრილობაში გზათა მიმოსვლის მინისტრმა განაცხადა, რომ ქვანახშირის სიმცირის გამო სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა სრულიად შესწყდება. საჭიროა ზომები იქნეს მიღებული სურსათის და ქვანახშირის მოზიდვის გასაადვილებლათ.

ჰამბურგელი ვაჭრები.

„დოიტშე-ალგემაინე ცეიტუნგი“ იუწყება, რომ ჰამბურგელი ჰყავით ბითუმად მოვაჭრეები აპირებენ დიდი ძალი ყავა შეისყიდონ კუნძულ იავაზე, რადგან პირობები იქ უფრო ხელსაყრელია ვიდრე ამერიკაში.

გერმანია სკანდინავია.

მაინის ფრანკფურტში ოთხშაბათს სადილი გაუმართეს სკანდინავიიდან ჩამოსულ სტუმრებს, რომლებმაც სურვილი გამოსთქვეს, რომ გერმანია-სკანდინავიის ურთიერთობა უფრო განმტკიცდეს.

ქვანახშირის სიმცირე.

ქვანახშირის სიმცირის გამო გრაცის ქ. ტამაში დადგა ემალიან საგნების დიდი ქარხანა.

გერმანელი და ლტოლვილები.

ბერლინში ყოველ დღე მოდიან ლტოლვილთა ოჯახები იმ ოლქებიდან, რომელიც სხვა სახელმწიფოებს უნდა გადაეცეს რადგან ისინი დიდ წვალებას განიცდიდნენ ბინების უქონლობის გამო.

სამხედრო წესები.

საარბრიუკენში სამხედრო ადმინისტრაციამ მთელ ოლქში გამეფებულ უწესოების გამო სამხედრო წესები გამოაცხადა. რკინის გზის მოსამსახურენი გაიფიცნენ; მათ შეუერთდნენ რკინის ჩამომსხმელი მუშები. ამას წინად უკვე იყო ცნობა, რომ მთელი საარის ოლქის მცხოვრებნი აღელვებულნი არიან ეროვნულ პოლიტიკურ უფლებების წართმევის გამო. მცხოვრებლები მოითხოვენ რომ ადმინისტრაცია ხალხთა ლიგამ დანიშნოს რათა ისინი გადარჩნენ საფრანგეთის სამხედრო ადმინისტრაციის მხრით შევიწროვებას.

უკანასკნელი ამბები

„საქართველოს“ საკუთ. წყაროებიდან).

თავ-დასხმა კრონშტადზე.

ინგლისის ავიატორები განაგრძობენ თვის თავ-დაფრენას კრონშტადზე უკანასკნელ ხანში ავიატორებს 4 ათას ფუთამდე ასაფეთქებელი ნივთიერებანი ჩამოუყრიათ კრონშტადში.

ნორვეგია ერთა-ლიგაში.

ნორვეგიას ერთ ხმად გადუწყვეტია შესვლა ერთა-ლიგის შემადგენლობაში.

პოლონელ მთავარ სარდლის აზრი ბოლშევიკებზე.

პოლონეთის ლაშქრის მთავარ-სარდალს გენერალ პილიუცკის ბოლშევიკთა შეიარაღებულ ძალთა შესახებ შემდეგი აზრი გამოუთქვამს „ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული ყოველ თითოეულ ბრძოლაში დავამარცხებთ ბოლშევიკებს ვინაიდან მათი სარდლობა მოიკოჭლებს და სტრატეგიასთან ძალიან მწყრალათ გახლავან, თუმცა ზოგიერთ ალაგას ისინი ძალით მეტნი არიან, მაგრამ ჩვენ გამობრძმედილ სამხედრო გამოწაფულ დახელოვნებით სულ მუდამ დავამარცხებთ. ერთად-ერთი შანსი მათ ისა აქვთ რომ ლამობენ ჩვენი ჯარი მოგვიწამლონ თვის მოძღვრებით მაგრამ ჩვენი ჯარი ჩვენი ერთგული და საბჭოს პრაპაგანდას არ აჰყვება. ჩემი სამშობლო ღირსია იმისი რომ სოციალ-რეფორმების გზით წარმატებისგან წავიდეს წინ. საჭიროა მხოლოდ დიდი შრომა ამ მიზნის მისაღწევათ. გერმანიასთან დამოკიდებულების შესახებ მთავარ-სარდალი იმ აზრისაა რომ როგორც გერმანიას ისე პოლონეთს შეუდგენია დიადი პლანი აღდგენისა. თუ რომ გერმანია შეასრულებს კეთილ-სინდისიერათ ზავის პირობებს მე ვერ ვხედავ მიზეზებს, ბრძანებს გენ. პილიუცკი რატომ არ უნდა ვიცხოვროთ მათთან კეთილ-განწყობილ მეზობლურ ცხოვრებით. რაც შეეხება ეკონომიურ მდგომარეობას გენ. პილიუცკიმ ბრძანა: ჩვენ გვესაჭიროება ტრანსპორტის მოწყობა. უამისოდ ჩვენი ეკონომიური განვითარება წინ ვერ წაიწევსო.

დენიკინის რადიოტელეგრამა მოსკოვის ევაკუაციისთვის

ბათუმის რადიოსადგურმა ხელთ იგდო რადიო დეპეშა ლენინისა მშრომელი რუსეთისა და ევროპის პროლეტარიატისადმი რომელშიც ნათქვამია რომ მოსკოვის ევაკუაცია აუცილებელია. ეს სხვანაირად არ უნდა იყოს მიღებული კომმუნისტები თავის ცენტრს გადიტანენ მხოლოდ ციმბირში (უფაში), ან თურანში და იქიდან თეთრებს დაემუქრებიან. ცხოვრების მსვლელობა ევროპას მიჰყავს ახალ რევოლიუციისაკენ და ამისთვის გამარჯვება ცალკე მემარჯვენე ჯგუფებისა, რუსეთში თუ ევროპაში, მხოლოდ დროული დასვენებაა თეთრებისა, რომელნიც აღგვილ იქნებიან დედამიწიდან მომავალ სოციალურ გარდაქმნის დროს.

ხმები მოსკოვში მომხდარ ცვლილებაზე

გაზ. „ნაშ კრაი“ ღვინობისთვის 11-ს იუწყება:

„ბათუმში მოსული სარწმუნო ცნობებით მოსკოვში მომხდარა დიდი ამბოხება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

ტროცკი და ლენინი ციხეში ჩაუსვამთ.

საბჭოთა მთავრობა მოსპობილია.

ეს ცნობა დამოწმებამდე სარწმუნოდ არ ჩაითვლება.

იაპონიის წინადადება.

როსტოვი. აქ ჩამოვიდა ამირბარ კოლჩაკის შიკრიკი, ციმბირის ლაშქრის პოლკოვნიკი. პოლკ. გენერალ ლუკომსკიმ მიიღო. პოლკოვნიკმა მას გადასცა ბარათი და საუბარი გაუმართა. მისი სიტყვებით, ციმბირის ასპარეზი თანისთანობით ჯიუტი ხასიათისა ხდება. იაპონია შველას იძლევა: იაპონიის სარდლობის განკარგულებაში მზად იმყოფება ორი დივიზია, რომელნიც გაიგზავნება ასპარეზზე ყოველთვის, როცა კი მიღებულ იქნება ამირბარ კოლჩაკის შეთანხმება.

სამინისტროს კრიზისი.

ეკატერინოდარი (რუსაგენის ცნობა) ყუბანში სამინისტროს კრიზისი გრძელდება. ირუსკივსკის გასვლა გადაწყვეტილია. ფინანსთა მინისტრის ასახელებენ გალოვს, სახ. განათლების მინისტრად სუშკოვს. სკოპცოვის გასვლა ჯერ მიღებული არ არი.

სიმშილი მცირე აზიაში.

კონსტანტინეპოლი. (რუსსაგენი) გაზეთებში მოყვანილია შემაძრწუნებელი ამბები მცირე-აზიაში მომხდარ სიმშილობის გამო გამოწვეული. სიმშილობას ხელი შეუწყო გამუდმებულ რეკვიზიციამ და მუშა-ხელის ომის ასპარეზზე გაყვანამ.

სარწმუნოდ დამტკიცებულია, რომ პირველ იანვრიდან მოსულში სიმშილისაგან 60,000 კაცი დაიღუპა. სიმშილმა ათასნაირი ხასიათის ბოროტმოქმედებანი დაჰბადა.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენ.).

ღვინობისთვის 10.

გერმანული პრესა

მოხალისეთა მთავრობის ნოტა გერმანიისადმი.

დასავლეთ რუსეთის მოხალისეთა ჯარის სარდალმა შემდეგი ნოტა გაუგზავნა გერმანიის მთავრობას: ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებულმა რუსეთმა... (გამოტოვებულია), რომელსაც მხარს უჭერს ღვინობ. 7 დაარსებული დასავლეთ რუსეთის ცენტრალური საბჭო, თავს იდვა წესიერების და დისციპლინის აღდგენა დიდი რუსეთის შესაქმნელად. როგორც რუსეთის სახელმწიფოებრივ ძალა უფლების გამომხატველი რუსეთის სახელით, მადლობას ვუძღვნი გერმანიის მთავრობას რომლის ჯარმაც რუსული ოლქები გადაარჩინა... (გამოტოვებულია) ბოლშევიზმისაგან გერმანულ ჯარების წასვლის შემდეგ ჩემთავზე მივიღებ ამ ოლქების დაცვას. ვალად ვღებულობ გერმანული ჯარის დაცვას მისი გადაზიდვის დროს. მე მრწამს, რომ რუსეთში ბოლშევიზმის მოსპობას ყველა ერი თანაგრძნობით შეხვდება. ეს საჭიროა მთელი ქვეყნისთვის მოსალოდნელ საფრთხის თავიდან ასაცილებლად და ისეთი პირობების შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა სახელმწიფოში მშვიდობიანობას და თავისუფალ განვითარების შესაძლებლობის დამყარებას. ნოტაზე ხელი უწერიათ პოლკ. ბერმონტს და დასავლეთ რუსეთის ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარეს სენატორ პალს.

ბოლშევიკური ცნობები.

ჩიჩერინის ახალი ნოტა.

მოსკოვი. ღვინობ. 10. ბუხარის და ხივის მუშებს და გლეხებს. ბუხარის და ხივის ამხანაგო მუშებო და გლეხებო! რუსის მუშები და გლეხები უკვე ორი წელია იბრძვიან მშრომელთა კლასის ძალა-უფლებისთვის, მუშათა და გლეხთა მთავრობამ ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება და მით სამეფო მთავრობის მრავალი საბუთები ჩაიგდო ხელში. ამ ქაღალდებიდან სჩანს, რომ რუსეთის მეფე ევროპის სხვა მთავრობებთან ერთად ყოველთვის მიისწრაფოდა თქვენ მიწაზე გამეფებულიყო. ამ მიზნით ყოველ ამ სახელმწიფოს მთავრობა სცდილობდა თქვეზე გაბატონებულიყო, მოესყიდნათ ისინი, რომელზედაც დამყარებული იყო თქვენი ბედ-იღბალი და ყოველგვარად სცდილობდნენ თქვენ შინაურ და გარეულ პოლიტიკაზე გავლენა მოეხდინათ ამ მისწრაფებაში ისინი ერთი მეორეს ეჯახებოდნენ, ხელს უშლიდნენ. თითეულ მათგანს სურდა მეტი მიეღო და ამის გამო ისინი მუდამ ფარულ ომს აწარმოებდენ ერთი მეორის წინააღმდეგ, მანამ ამ ახალშენებისთვის ომმა არ მიიყვანა ძმათა სისხლის მღვრელ საშინელ ომამდე. რა დააშავა უბედურმა სპარსეთმა, რომელიც ამდენ ხანს ნეიტრალური იყო, მაგრამ სრულიად განადგურდა ამ ომით. მიუხედავათ ყოველივე ამისა ამ ჟამად სპარსეთი ინგლისის ახალშენად გადაიქცა. ომამდე სპარსეთი გაყოფილი იყო რუსეთსა და ინგლისს შორის, მაგრამ მუშათა და გლეხთა მთავრობამ სპარსეთი თავისუფალ ქვეყნად გამოაცხადა. ინგლისმა არა თუ უარი განაცხადა სპარსეთში გამეფებაზე, არამედ სულ ჩაიგდო იგი ხელში.

ამაში გამოიხატება კაპიტალის ზეიმის ძალა. ეს ძალა ფეხებით სთელავს ბუხარა და ხივას. თქვენ ეხლა ხართ ორი, ერთი-მეორეს გამანადგურებელ ძალის შორის: ერთი მხრით თქვენ წინ არის მუშათა და გლეხთა, მეორეს მხრით თქვენსკენ მოდის ინგლისის სახელმწიფოს იმპერიალისტური ძალა. ამხანაგნო! თქვენ ძმებს, რუსეთის მშრომელ მასას, და მათი ნების გამომხატველ საბჭოთა მთავრობას. იმედი აქვთ, რომ თქვენ ინგლისს იმპერიალიზმს ნებას არ მისცემთ, რომ თქვენ მონობის უღელი დაგადგათ. თქვენი დაკოჟილი ხელები გაუწოდეთ თქვენთან ახლო მყოფ ძმებს, წითელი თურქესტანის და რუსეთის გლეხებს და შეერთებულის ძალით გაანთავისუფლებთ მტაცებლებისაგან არა მარტო თქვენ თავს, არამედ მთელი მახლობელ და შორეულ აღმოსავლეთის მშრომელ ხალხს.

რ. ს. ფ. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა კომისარი **ჩიჩერინი.**

მოხალისეთა სამფლობელოში.

გომელი, ოქტ 6 ხარკოვის გაზეთ „იუჟნაია კრაის“ ცნობით, შაქრის ქარხნის 20,000 მუშის 35 წარმომადგენელმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სამრეწველოების პატრონებთან ყოველგვარ შეთანხმებაზე უარს აცხადებს და მოითხოვს საერთო გაფიცვების გამოცხადებას მიაღწიონ ხელფასის მომატებას და მუშების დათხოვნას აღარ ექნეს ადგილი. კიევში გამოქვეყნდა მთავარ-სარდლობის ბრძანება, რომლითაც რკინის გზის, გემების, ტელეგრაფის, ტელეგრაფის, ელექტრონის სადგურების მოსამსახურეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პურის მცხობლები გაფიცვისთვის სამხედრო-საველე სასამართლოს უნდა გადაეცნენ. თეთრგვარდიელებმა ჩამოილეს და გაანადგურეს შევჩენკოს ძეგლი, რომელიც საბჭოთა მთავრობამ გააკეთა.

მოხალისეთა ჯარის სამხედრო ცნობის თანახმად, ლისკთან ბრძოლის დროს დასჭრეს შკურო და მამონტოვი. მოკლულია გენერალი მაქსიმოვი, დაჭრილია გურელნიკოვი, ტეტერკინი და გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ორანსკი და ზიმიკი. კავკასიის არმიის სარდლის გენერალ ვრანგელის ცნობით, მოკლე ხანში უნდა მოველოდეთ ცარიცინზე ახალ შეტევას. ცარიცინის დაცლა დასრულდა ყოველივე ძვირფასი საგნები გამოზიდულა.

№-ის არმიის შტაბი. ღვინ. 7. ხარკოვის გაზეთ „როდინა“-ში დაბეჭდილია სამხედრო რუსეთის პროფ. კავშირების ცენტ. საბჭოს წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ მუშათა ორგანიზაციები მოკლებულნი არიან სიტყვის თავისუფლებას, გაზეთის გამოცემას, მუშათა საკითხებს მექარხნეები სწყვეტენ მუშების მონაწილეობის მიუღებლად.

შეერთებული შტატები და კოლჩაკი.

ბელოსტროვი. ღვინ. 7. აღმოსავლეთ ფრონტის მთავარი შტაბიდან „ტაიმს“ ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, რომ შეერთებულმა შტატებმა თავის თავზე მიიღო კოლჩაკისთვის სამხედრო მასალის მიწოდება მას ფულითაც დაეხმარებიან.

ნოსკე

პსკოვი. ღვინ. 8 „პოლიტიშე-პარლამენტიშე-ნახრიხტენ“-ი უარყოფს გაზეთების ცნობას, ვითომ ნოსკე მოლაპარაკებას აწარმოებდეს მოკავშირეებთან თავისი თავის გერმანიის დიქტატორად გამოცხადების შესახებ.

გერმან. ს.-დ. პრესა.

ნაუენი. ოქტ. 9. ბიშოფის მოწოდებას კურლიანდიაში მყოფ ჯარის მიმართ, ერთნაირად აკრიტიკებს როგორც მთელი სოციალ-დემოკრატიული პრესა, ისე სხვა. ის ფაქტი, რომ ბიშოფი მოკავშირეების მოთხოვნილებას უწოდებს უბრალო მუქარას, მოწმობს, გაზეთის სიტყვით, რომ უკანასკნელი წლის ამბებს მისთვის არაფერი არ უსწავლებია. მოელიან, რომ საქმეს ისე მოაწყობენ, რომ გერმანიას ცუდი შედეგები არ მოუვა. იმავე დროს „დეიტშე ალგემეინე-ცეიტუნგი“ იუწყება, რომ აღმოსავლეთ პრუსიის ობერ-პრეზიდენტმა ვინნიგმა განაცხადა, რომ კურლიანდიიდან გერმანელების წასვლის შემდეგ წითელ ჯარს შეუძლია პრუსიის საზღვრამდე მივიდეს.

მეხუთე ყრილობა

კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენელთა

მეორე დღე 10 ღვინობ. სხდომა.

თავმჯდომარეობს **ის. რამიშვილი.**

პირველი მოხსენება წაიკითხა **ევგ. დარჩიამ.** მან აღნიშნა ის უმწეო მდგომარეობა, რომელშიაც კავშირი იყო ჩაყენებული პირველ ხანებში. მას არ ქონდა ბინა, საწყობები გაბნეული იყო ქალაქში სხვა და სხვა ადგილას და არ ჰქონდა გამგეობას საშუალება ყოველ დროს მოეხდინა საქონლის ანგარიში და სხ. ასე ვიყავით პირველ იანვრამდე 1919 წ.. 1919 წ. ვიშოვეთ ბინა, შევაკეთეთ ის. შეკეთება დაგვიჯდა 100 ათას მანეთზე მეტი. ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო. ჩვენში არ იყო აქტიური ბანკები, სახალხო ბანკს კი არ ჰქონდა საშუალება გაეწია ჩვენთვის საჭირო დახმარება. ჩვენი ძირითადი თანხა კი უდრიდა 971.368 მან. ამ ფულებში ურევია აგრეთვე საპაიო ფულები—342.940 მან. კოოპერატივები, მიუხედავათ შარშანდელი ყრილობის დადგენილებისა, რომ ყველა მოკავშირე კოოპერატივებს შეეტანათ საწევრო ფული, მაინც არ იქნა შემოტანილი ყველა კოოპერატივების მიერ. ჩვენს მოქმედებას ხელს უშლიდა აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის გაურკვევლობა, შექმნილი მძიმე ეკონომიური პირობები და სხვა. მიუხედავათ ამისა კავშირმა მაინც მოახერხა წარმოების გაფართოვება. ეს უკვე ფაქტია. ჩვენ გვაქვს სხვა და სხვა ქარხანა. ქარხნების დაარსება გამოწვეულ იყო იმ გარემოებით, რომ ჩვენთვის მიუწვდომელი შეიქნა საერთაშორისო მდგომარეობის გამო საზღვარ-გარეთის ბაზარი. ფულის ტრიალიც შეფერხებულია. ამ ჟამად უნდა გადაზიდოთ საქონელი და მხოლოდ მაშინ მიიღებთ სამაგიეროს. ის ტეხნიკურად ძალიან მოუხერხებელია.

უმთავრესად ჩვენ ვსარგებლობდით შინაური ბაზარით. სპეკულიანტები კი ქრთამების საშუალებით ახერხებდენ საქონლის ჩამოტანას. ჩვენ კი ასეთი სისტემისთვის მიმართვა არ შეგვეძლო. თუ რა მდგომარეობაა თითეულ დარგში, ამავე ციფრებს მოგახსენებენ შემდეგი მომხსენებელი.

ფინანსიური ანგარიშის შესახებ მოხსენებას აკეთებს **ვლ. კორძაია.**

ის აღნიშნავს საერთოდ ფინანსიურ მდგომარეობას კავშირისა. საანგარიშო წლის განმავლობაში კავშირის წმინდა მოგება უდრის 1.321:825 მან.

ბალანსის განხილვა.

საანგარიშო წლის დასაწყისში შედარებით გასულისა კავშირისა აქტივი გაიზარდა (8.861.466 მ.—2.878.647 მან.) 5.982.818 მან. ეს მომატება აიხსნება იმით, რომ ბალანსზედ გაიხსნა ახალი ანგარიშები, მაგ., მწვანეულობის საწყობი პუნქტი, ძეხვის ქარხანა, საქონლის შემსყიდველი პუნქტი და სხ. მთელი ქონება კავშირის პასივის მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: 22 ნახ. პროც. ეკუთვნის საკუთარ თანხებს. 77,5 პროცენტი კი—სესხებს და სხვა და სხვა პირებს, მათ შორის მთავრობას და მის დაწესებულებებს 50 პროცენტი.

საქონლის ბრუნვა.

საქონელი, რომელიც შეადგენს მთავარ სახსარს ბრუნვისა იქნა შეძენილი რესპუბლიკის ფარგლებში. გარეშე სახელმწიფოებიდან ძალიან მცირე რაოდენობა საქონლისა იქნა შემოტანილი საქონლის ბრუნვა იყოფა ორ ნაწილად: საკომისიო 7.336.600 მან. საწყობის—11.418.125 მანეთი, სულ 18.754.726 მ. ეს საქონელი იქნა განაწილებული შემდეგ ნაირად: მოკავშირე საზოგადოებებს—13.232,062 მ., კერძო პირებს და არა მოკავშირე კოოპერატივებს—5.522.664 მ.

თანხები.

საპაიო თანხამ 1917 წ. მოიმატა 251.211 მან., 1918 წ.—26.902 მ. მომხსენებელი ყურადღებას აქცევს თანხის ზრდას 1918 წ. შესამჩნევათ გაიზარდა აგრეთვე სპეციალური თანხებიც. 1917 წ. 1 იანვარს სპეციალური თანხა უდრიდა—567 მან. 1 იანვარს 1919 წ.—42.439 მ. და 1 იანვარს 1918 წ.—222,541 მან. კავშირს იმედი აქვს ამ თანხების შემწეობით განავითარებს კულტურული და კოოპერატიული მუშაობას

თავისუფალი თანხა.

თავისუფალი თანხა 1 იანვარს 1917 წ. იყო 12.400 მან., 1 იანვარს 1918 წ.—446.052 მ. 1 იანვარს 1910 წ.—1.884.652 მ. ამ ნაირი ზრდა თანხისა სპეციალური, საპაიო და წმინდა მოგების ზრდით.

შემოსავალი.

წმინდა მოგება საანგარიშო წელში უდრის 1 321.825 მ. მოგების ზრდა პროცენტებში ასე გამოიხატება: 1916 წ.—0,94 პროც., 1917 წ.—2,3 პროცენტი, 1918 წ.—7,04 პროც. ნაყიდი საქონელზე ფასზედ დამატება საშუალო რიცხვით სმეტის მიხედვით შეადგენდა 11 პროცენტს, ნამდვილად კი იყო 15,7 პროც.

სავაჭრო განყოფილების ანგარიში.

მომხსენებელია გ. წულუკიძე. კავშირის საქონლის საერთო ბრუნვა უდრის წარსულ 1918 წ. 19,123,677 მან. აქედან მთავარ საწყობის საქონლის ბრუნვა უდრის 7,916,726 მანეთს. საკომისიო საქონლისა 7.607,255 მან. და ქუთაისის განყოფილებისა 3,599,695 მან.

1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვით საერთო ბრუნვა ნავარაუდევი იყო ათი მილ. მან. ნამდვილად კი ამ ჟამს აღემატა 9 მილიონი მან. მიუხედავად მძიმე საერთაშორისო პირობებისა, ჩვენ მაინც შევძელით ჩვენი ბაზრის მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება. გამგეობამ წარსულ წელს გახსნა ფოთში შემსყიდველ-განმანაწილებელი პუნქტი, სადაც 9 თვის განმავლობაში თითქმის 5 მილ. მან საქონელმა გაიარა. ასეთივე პუნქტი გახსნა ბაქოში, სადაც გაიარა აგრეთვე 5 მილ. მანეთის საქონელმა. ამ ჟამიდან ჩვენში შემოტანილ იქნა 3,800,000 მან საქონელი, ხოლო გატანილი 1,700,000 მ., უმთავრესი ნაკლი სავაჭრო განყოფილებისა ის არის, რომ მან ვერ შესძლო შინაურს ბაზარზე ეწარმოებინა ნედლი მასალის და სხვა ადგილობრივი ნაწარმოების შესყიდვა, დამზადება და შემდეგ საზღვარ გარედ გატანა ჩვენთვის საჭირო საქონელზე გადასაცვლელად. ამის მიზეზი იყო საერთოდ პოლიტიკური მდგომარეობის გაურკვევლობა და თავისუფალი თანხის უქონლობა.

(შემდეგი იქნება).

კორესპონდენცია

ს. სიქთარუა

ს. სიქთარუაში (შორაპ. მაზრა) არსებობს ერთ-კლასიანი სკოლა. სამწუხაროდ სკოლა ცუდ პირობებშია. ფანჯრები ჩალეწილია, ჭერი ჩამტვრეული აივანი აყრილი და გაოხრებული, სახურავი სულ აღარ ვარგა. ერთი სიტყვით შენობა ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. მასწავლებლები, რაც შეეხება სწავლის მხრივ, წესიერად არ ასრულებენ თავის მოვალეობას. მაგრამ მარტო მასწავლებლების მეცადინეობამ რა ჰქნას, როცა დამხმარე არა ჰყავთ? სასწავლებლის გამგე, აგერ 5 წელი მეტი იქნება, რაც ხალხს ეჩიჩინება სასწავლებლის შეკეთებაზე, ან ახლის აშენებაზე, ყურს კი არავინ უგდებს. მნახველი აშკარად დარწმუნდება, რომ ამ სასწავლებელში, ცუდ ამინდში, ბავშვების სწავლება ყოვლად მოუხერხებელია. სიმართლეს ვიტყვი, რომ სკოლას მცხოვრებნი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. არ მეგულება ისეთი მოსახლე, რომ ღვთისმშობლის, 21 ენკენისთვეს (დღეობათ იციან) ორი ათასი მანეთი მაინც არ დაეხარჯოს. სკოლისათვის კი ორი კაპეიკი ენანება. მაგრამ არის კიდევ მეორე უმთავრესი მიზეზი სკოლის უყურადღებობისა გახლავთ დავა მომხდარი სოფელს შუა. სიქთარუა იყოფა ორ ნაწილად. მას ჰყოფს ორად ღელე გუთნური. ერთი ნაწილი იქით იქაჩება და მეორე აქეთ. გაღმა ნაწილს სურს სკოლა იყოს გაღმა და გამოღმას გამოღმა. მიწევ-მოწევაში საქმე ფერხდება. მოსწავლეები და მასწავლებლები სულს ღაფავენ და განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას. სიქთარუას ინტელიგენცია საკმაოდ ყავს მაგრამ ზაფხულობით თუ არიან სოფლად, უმთავრესად მოწაფენი არიან და სწავლის დროს მიდიან ქალაქებში. მაშინ, როცა ქუთაისის მაზრაში გაჩაღდა ენერგიული მუშაობა. სკოლის მოსათავსებლად ახდენენ რეკვიზიციას და ყოველივე ზომებს იღებენ სწავლის გასაძლიერებლად, შორაპნის მაზრის ერობას სძინავს, ის არ სწუხს არც სკოლების საქმეზე და არც სოფელზე. სიქთარუის სკოლა ჯერ არც კი ჩაუბარებიათ. რომ ცოტათი საქმე გამოსწორებულიყო, კარგი იყო დაჩქარებულ იყო წვრილი საერობო ერთეულების არჩევნები. არჩევნები კი გადაიდო.

ვ. გუთნურისპირელი.

—

ტობანიერის თემი

ენკენისთვის შუა რიცხვებში ტობანიერის სათემო ერობამ შემოიღო გზის გაფართოება სამი საჟენით. საყურადღებოა ის, რომ ხსენებულ რიცხვში უბნის კომისრები დადიოდენ სოფლებში ამავე სოფლის უმუშევარი ხალხით და აფუჭებდენ ყოველივე მუშის ნაშრომს: სჭრიდენ ხეებს, ისეთ ხეებს, რომლის დარგვაში და მოვლაში ბევრი დახარჯულა. არღვევდენ ღობეს, სადაც მუშას თავისი მაჯით და აგრეთვე ნაქირავები კაცით დიდი გაჭირვება გაუვლია. ერთი სიტყვით, სპობდენ და მიწაზე ჰყრიდენ ყოველივე მუშის ნაშრომს. თუ როდისმე რომელიმე უმუშევარს ნამდვილი მუშის რაიმე შური ან ჟინი ჰქონებია, ყოველივეს ეხლა იყრიდენ. თუ კი მიწის მეპატრონე ხმას ამოიღებდა და იტყოდა: „ეს რისთვის, როგორ შეიძლება“ მას ეუბნებოდენ: „კმარა, კმარა, გაჩუმდი, თუ არ გინდა შენს სახლსაც ჩვენ დავეპატრონოთო.“

მიწის მეპატრონენი დიდს აღელვებაში იყვნენ, მაგრამ რას გაბედავდენ, როცა ესმოდათ უბნის კომისარების და მისი მიმყოლების ხმა: „ხვალისთვის უსათუოდ აი იმ კაცის ეზო უნდა გავარღვიოთ და იგ გავიყვანოთ გზა“-ო. სოფელი სწუხდა, ისინი კი განაგრძობდენ თავიანთ საქმეს. მიწის მეპატრონეები ფიქრობდენ: რადგანაც გზა გააფართოვეს, უეჭველად კიდეც მოჰკენჭავენ და შეაკეთებენო. მაგრამ ამაოდ. ისინი გზის გაყვანაში იმას კი არ ფიქრობდენ, რომ სოფელს კარგი რამ მოუტანოთო, და გზა დღესაც გაუკეთებელია. საჭირო კია წინდახედული მოქმედება ხალხისთვის სასარგებლო დაწყებულ საქმეში.

—

ჩვენი ფოსტა

ქ. თელავი. დ. დ შვილს, „პოეტი მისტიკი“ არ დაიბეჭდება.

მიმოსვლა

სახალხო მატარებლებისა

ს. ს. რკ. გზ.

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს.	5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	სალ.	8 ს.	7 წ.
ბათომში	№ 5	სალ.	5 ს.	4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს.	56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს.	30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს.	—
ფოთიდან	№ 4	სალ	8 ს.	45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს.	10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს.	30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს.	06 წ.

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

№ 8	სალამოს	6 ს.	5 წ.
№ 6	შუადღის	2 ს.	32 წ.
№ 4	სალამოს	9 ს.	50 წ.

მოდის სალოღლიდან.

№ 3	დილის	7 ს.	27 წ.
№ 5	ნაშუად.	3 ს.	5 წ.
№ 7	დილის	11 ს.	52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გადის

№ 63	შუადღის	2 ს.	40 წ.
№ 61	დილის	7 ს.	52 წ.
№ 19,20	შუად.	3 ს.	26 წ.

მოდის:

№ 19,20	დილ.	6 ს.	30 წ.
№ 62	დილ.	11 ს.	24 წ.
№ 64	სალ.	8 ს.	4 წ.

თბილისი-სანაინი

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო და სწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63. 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
ქალანდარიშვილი
ყოფილი უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე. ტელეფონის № 17—21.

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. 1-მდე სპეციალად ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე **მიხეილის ქუჩა № 7** ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1.
50—2559—1

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. [illegible]შელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენოიდი და [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 8—1 საათამდე და საღამოს 6 9 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7-92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
მეჰმელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ის შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

მიწის გარ ემო

15. ადმინისტრაცია სოფლად *).

რომ ხალხი ადგილობრივ ადმინისტრაციისაგან გაჭირვებას განიცდის, ეს ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ლაგოდეხის რაიონის ადმინისტრაციამ რომ ყველას გადააჭარბა თავისი სიმხეცით ნამდვილ ამ სიტყვის მნიშვნელობით, დავინახავთ ქვევით: სოფ. თელის საზოგადოებამ და ბაისუბნისამ დეპეშით დაიბარეს დეპუტატი დ. ჩიქოვანი, რომ გამოეძია მათი საქმე და ეცნობებინა ყოველივე მთავრობისათვის. მის ჩამოსვლას აღარ მოუცადეს და სამი რწმუნებული გაგზავნეს თბილისში დ. ჩიქოვანის წასაყვანად. იმ ჟამად დეპუტატი ჩიქოვანი ავად იყო. მიმართეს საგუბერნიო კომისარიატში, არაფერი გამოვიდა.

საქმე შემდეგშია: უნდა მოგახსენოთ კომისრების შესახებ.

თუმცა სახელი „პოლიციელი“ კომისარზედ შესცვალეს, მაგრამ არსებითად ისევ „პოლიციელად“ დარჩა. ძველი პოლიციის სულიერი მისწრაფება მემკვიდრეობით გადმოვიდა კომისარზედ. არავითარი ცვლილება ამ რევოლიუციამ არ შეიტანა კომისარის სულიერ ვითარებაზედ. იგივე მექრთამე ბოქაულს, იგივე ჟანდარმს, იგივე სასტიკ ადამიანს წარმოადგენს ეხლანდელი კომისარი. რასაკვირველია, არიან გამონაკლისები და მათ მადლობა ეთქმით.

რომ ეს ჩემი სიტყვები ლიტონ სიტყვებად არ დარჩეს,

აი, დაუგდეთ ყური შემდეგ ფაქტს ლაგოდეხის რაიონის კომისარი შაქრო ზედედაშვილი მილიციონერებით სოფ. ბაისუბანში მივიდა საქმეების გამო იმ დროს მე კომისიის მიწების მიმღებისა თავჯდომარედ გახლდით და ზ. ზედელაშვილიც კომისიაში მონაწილეობას იღებდა.

ჩვეულებრივ კომისარი მილიციონერები დუქანში შექეიფიანდნენ, 3-ი ნოემბერი იყო, საათის 4 იქნებოდა, რომ სოფ. თოლაზედ ცხენებით ძუნძულით ჩაიარეს.

სოფლის ბოლო გზის შორი ახლოს ერთი კაცი ცულით ჯირკვს აპობდა, მასთან მწყემსებიც იყვნენ. ამ კაცმა თოფიანები რომ დაინახა, გაიქცა.

— ის ყაჩაღი იქნება?!. დაიძახა კომისარმა.

— არა, ბატონო, უპასუხეს მწყემსებმა,—ის აქაურია, დაუძახეთ, გაჩერდეს! გაქცეულს უძახიან, უფრო გაიქცა.

— თუ ის კაი კაცია, რათ გარბის?

— ჩვენებურია, ბატონო, მოსულელოა თავისიანებს დაინახავს თუ არა, ეშინიან და ემალება, არწმუნებენ მწყემსები კომისარს.

არ რწმუნდებიან, გამოეკიდებიან, კომისარი მაუზერით ფეხში დასჭრის, დაჭრილი ხეში ჩაწვება, ბეგს ამოეფარება, ესენი ყველანი მიეჭრებიან და შვიდი ტყვიით რუში ჩაჰკლენ.

მოკლულის გვამს მუხლებამდის დაგლეჯილი შარვარი ეცვა, უქალამნო, მის ოჯახს ამის მეტი არვინ ჰყავდა, მოსულელო იყო, დედას უზიდავდა შეშას, წყალს და სხვ.

როდესაც ეს კაცი მოჰკლეს, მაშინ მოვიდნენ გონს, რომ საზარელი დანაშაულობა ჩაიდინეს, გაქცევით თავს უშველეს, ვითომ დანაშაულობას გაექცეოდნენ და თავიდან აიცილებდნენ.

თოფის სროლაზედ სოფელიც გამოვიდა, გამოეკიდა გაქცეულებს, თოფის სროლით პასუხი გასცეს, დაიჭირეს ერთი მილიციონერი და სუბუქად გალახეს.

მე რომ შემატყობინეს, ვიფიქრე, სიმთვრალით მოუვიდათ ეს შეცდომა და კომისარი სოფელთან პატიებას მოითხოვს, მასთანვე თავის თანამდებობიდან გადადგებოდა.

მაგრამ ერთ დანაშაულებას მეორე დანაშაულობა მისდევს უფრო საზარელი, რომ დაჰფაროს თვისი პირველი დანაშაულობა, სოფელი გამოჰყავს აჯანყებულად, ყაჩაღების ბუდედ და მთელის თავის ძალებით მეორე დღეს ესხმის სოფ. თელას, როგორც მეამბოხეებს სჩარეკავენ, ართმევენ თოფებს, თან ტანისამოს და ხელ-წამოსაკრავს.

დაიჭირენ რვა კაცს, ლაგოდეხისკენ გაირეკავენ და სატუსაღოში ამოაყოფინებენ თავსა.

საღამოზედ, რომ დაბინდდება და ხალხი მიწყნარდება, კანცელარიაში სათითაოდ შეიყვანენ და კომისრის წინ მათრახებით, ჯოხებით კონდახებით აუწერელ ტანჯვას მიაღებინებენ ყველა დაჭერილებს.

მომაგონდა ძველი რუსის მთავრობის ქართლის ბოქაულები: ტენბერგი ჩიკვაიძე, ხრუშჩოვი და პირქუშა მთავრობის მამასახლისები გოგიშვილი, გიჩო ბაბაევი, ხეთაგა და სხვ. ჯალათნი ჩვენი გლეხებისა.

მაგრამ ამას კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ აქ საქართველოს რესპუბლიკაში ამისთანა ჯალათები კიდევ გამოჩნდებოდნენ.

როდესაც თბილისისკენ წამოვედი ალაზანზედ შევხვდი იმ ტუსაღებს, რომელიც ლაგოდეხიდან სიღნაღის სატუსაღოში გაგზავნეს, სამი კვირის შემდეგ გაენთავისუფლებინათ და ილიკო სტეფნაძემ მიამბო შემდეგი:

— მე იმდროს, სოფელში არ გახლდით, როდესაც, ჩვენ სოფელში ის ამბავი დატრიალდა. კომისარს ჩემი დაჭერაც სდომებია. ავედი ლაგოდეხში მეორე დღეს, გამოვეცხადე ჩემს გულის წრფელით კომისარს და უნდა მეჩვენებინა ყოველივე.

მისვლისათანავე სიტყვა აღარ დამაცალა კომისარმა და მაუზერი მომაჩეჩა ხელში—აი, დაიჭი და მესროლე, შენ ხომ ჩემი მოკვლა გინდოდა?!..

— არა, შენი ჭირიმე, მე მაგას ტყუილად მწამებ!

— წაიყვანეთ! სატუსაღოში ჩააგდეთ! უბძანა მილიციონერებს.

იმ მილიციონერმა, რომელიც ჩვენ სოფელში გალახეს, ყურში ისე ძლიერად შემომკრა, ყურიდან და ცხვირიდან სისხლი წამსკდა.

— დაღამებისას ისევ შემიყვანეს კანცელარიაში. პირველათ ისევ ამ მილიციონერმა შიგ ყელში დამატაკა ფეხზედ აყენებული ნაგანა, უნდა მოვეკალი, მაგრამ სხვებმა არ გაუშვეს მერმე დამიწყეს ცემა, თავში, პირში, ხელებზედ, ზურგზედ, კონდახები, ჯოხები. და რამდენიც გაუმაგრდი, იმდენი უფრო ბრაზობდენ, და ვიდრე არ წამაქციეს არ იჯერეს. ტუჩებიდან სისხლი გადმომდიოდა, კომისარს მუხლებზედ ვკოცნიდი, მაყოფინეთ! ნუ მომკლავთ! ბოლოს ფეხი აუწიე და ჩექმის ძირს ვაკოცე,—მაპატიეთ, შემიბრალეთ!

დასისხლიანებული, დამტვრეული შემაგდეს ისევ სატუსაღოში ჩემს ამხანაგებთან და ახლა იქ ესინი აღრიალდნენ, რომ დამინახეს გასისხლიანებული,—ჩვენ ვიღა გვეყოლება პატრონიო, შენ რომ აგეთი საქმე დაგმართესო!

— ლაგოდეხის სატუსაღოში სამი დღე ვიყავით, სიკვდილს გადურჩი, ძლივს მომაბრუნეს, ისეთი ავადმყოფი შევიქენი.

მეოთხე დღეს სიღნაღის სატუსაღოში გაგვისტუმრეს.

— წასვლისას კომისარმა მილიციონერებს უბძანა: გზაში თუ ოდნავ შენიშნოთ მათი გაქცევა, მაშინვე იქავე მოკალითო.

— აი, ეს გაჭირვება გამოვიარეთ და გთხოვთ აცნობოთ, თუ ვინმეა ჩვენი პატრონი, მოგვეშველოს, ჩვენ მთავრობის წინააღმდეგი არა ვართ, მათ ვემორჩილებით ყველაფერში, მხოლოდ ეს ჯალათები ჩამოგვაცალონ.

დაასრულა სტეფანაძემ და თან ლაპარაკის დროს მიჩვენებდა, ხან ყურს, ხან ცხვირს, თითებს, კლავების—ნაცემ და ნაგვემ ადგილებს.

როდესაც ეს ამბავი მოხდა, მესამე დღეს სიღნაღიდან მაზრის კომისარი გელაშვილი გამობძანდა. განა თუ დაუკვირდა საქმეს? ყველაფერში ზედელაშვილის სიტყვებს დაეთანხმა და დასკვნა ის იყო რომ ბაღში კარგად იქეიფეს.

ეს ცოდოთ არ ჩაეთვლებათ, ვინ არ ქეიფობს, ძველად პური ჭამის დროს საქმეები კეთდებოდა, მაგრამ უბედურობაც ეგ არის, რომ არც პურის ჭამის დროსაც საქმეს აკეთებენ ეს ჩვენი ახლად მოვლენილნი კომისრები.

და რაც შეეხება ქრთამებს, ჯარის კაცებს დამალვას და მათვის 100 200 მანეთობით გადახდევინებას, ხე-ტყის გაყიდვას და სხვ. ეს მოჰკითხეთ ყველა სოფლის კომისრებს. ზოგი კომისარი ქურდების უსტაბაშია, ზოგი კიდევ ტყის კანტორის ლეიბ-კომისარია და ზოგიც ჯარის კაცების მიმბაშია.

და თქვენ დეპუტატებო, ყურად იღეთ ეს!

Leqatus.

---

*) ეს წერილი შარშან ნოემბერში გაზეთ „ერთობის“ რედაქციაში წარვადგინე დასაბეჭდათ. რედაქტორმა ჩემი წერილი შინაგან მინისტრს გაუგზავნა ჩემს დაუკითხავად. შინაგან მინისტრმა მაშინვე დეპეშით განკარგულება გასცა და ლაგოდეხის რაიონის კომისარი გადაყენებულ იქმნა.

ჩემი წერილი კი ისევ რედაქციამ დამიბრუნა, ჩვენ ვერ დავბეჭდავთ და სხვა გაზეთებში დაბეჭდეთო. მეც იმ დროს გადავიფიქრე ამის გამოქვეყნება.

ეს წერილი მიმართული იყო პარლამენტის დეპუტატებთან.

Legatus.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე 3.